

"24 საათის" ფიქიანი ნომერი  
**\*2424**

ინილეთ ჩანართი

The New York Times

მესიქით მხილებულნი



პატარა "გალა"  
"დიდი" გამოფენით  
**A9**



გაერთიანებული ტელეკომი

**„გაერთიანებული ტელეკომის“**  
საახალწლო აქცია -  
ინტერნეტის უფასო  
ინსტალაცია  
ერთი თვის  
განმავლობაში

**A4**

24საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია  
ინილეთ Web-გვერდზე  
**www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:



თიბისი ბანკი  
TBC BANK



FREE INDUSTRIAL ZONE  
RAKIA GEORGIA



HYUNDAI

# მზადება საკონსტიტუციო ცვლილებაებისთვის

თამარ ივანიძე

პარლამენტი საქართველოს კონსტიტუციაში მორიგი ცვლილებების შესატანად ემზადება. პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ 6 ოქტომბერს დეკლარებული გადაწყვეტილება "ეკონომიკური თავისუფლების აქტის" მიღების შესახებ, სხვა საკითხებთან ერთად, გადასახადების გაზრდისთვის რეფერენდუმის ჩატარებასაც გულისხმობს. ასეთი გადაწყვეტილების დაკანონებას კი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა სჭირდება. გუშინ საკანონმდებლო ორგანოში ამ ცვლილებების საყოველთაო სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის პირველი სხდომა გაიმართა. სხდომაზე ბიზნეს-ასოციაციის წევრები ესწრებოდნენ, რომლებმაც, მთავრობის ინიციატივის გაცნობის პარალელურად, საკუთრების უფლებაზე გარანტიების გაზრდა და ბიზნეს-კანონმდებლობის ფორმირებაში აქტიური ჩართვა მოითხოვეს.

პროექტში, რომელსაც სხდომაზე განიხილავდნენ, ნათქვამია, რომ საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადების შემოღება ან გაზრდა, ასევე მათი დაბეგვრის ობიექტის დამატება ან გაფართოება, შესაძლებელი იქნება მხოლოდ რეფერენდუმის გზით, რომლის დანიშვნის უფლება საქართველოს პრეზიდენტს ექნება. ამასთან, საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებთან დაკავშირებით რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ

ოთხი წლის შემდეგ ამოქმედდება - ეს ახალი დეტალია. პრემიერ-მინისტრის მრჩეველის ვახტანგ ლეჟავას განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ რეფერენდუმის გზით კონკრეტული გადასახადის გაზრდის შესახებ დადებითი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, მიზანშეწონილი იქნება ბიზნესსექტორი ამასთან დაკავშირებით მოემზადოს, რისთვისაც მას ოთხწლიანი ვადა მიეცემა.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე

# ქუთაისში ტრაგედია ოპოზიციის საპროტესტო აქცია მოჰყვა

გუშინ ქუთაისში ოპოზიციის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა საპროტესტო აქცია გაიმართა. თბილისიდან ჩასული ოპოზიციური პარტიის ლიდერებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებმა, ქუთაისის მოქალაქეებთან ერთად, 19 დეკემბერს მემორიალის აფეთქებისას მომხდარი ტრაგედიის გამო პროტესტი გამოთქვეს.

"ამ ისტორიული ძეგლის აფეთქება ძალიან ბევრს ამბობს დღევანდელ ხელისუფლებაზე. ცალკე პრობლემაა, რა ფორმით მოხდა მემორიალის აფეთქება," - "საქართველოს გზის" ლიდერ სალომე ზურაბიშვილის აზრით, მიხეილ სააკაშვილის ერთპიროვნულმა გადაწყვეტილებამ ორი ადამიანის სიცოცხლე შეინირა.

ბაზრძალაბა A2 გვერდზე



საპროტესტო აქცია აფეთქებულ მემორიალთან.

# მსოფლიო თოვლმა დაფარა

მარიკა იაშვილი

ევროპის რიგ ქვეყნებში დაბალი ტემპერატურისა და დიდთოვლობის გამო სულ მცირე, 19 ადამიანი დაიღუპა. დაზარალებულია აეროპორტები, მნიშვნელოვნად არის შეფერხებული სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა.

ტემპერატურის მკვეთრი ვარდნის მიზეზით მხოლოდ პოლონეთში, ამ დროისათვის არსებული მონაცემებით, სულ მცირე, 15 ადამიანი გარდაიცვალა. გერმანიის ზოგიერთ რაიონში -33 გრადუს ცელსიუსზე დაბალი ტემპერატურა დაფიქსირდა.

ავსტრიაში, შტირიას პროვინციაში, ორი ადამიანი გაიყინა, რომლებიც წვეულებიდან სახლში გვიან ბრუნდებოდნენ.

დაბალი ტემპერატურით გამონეული კონდენსაციის გამო შეჩერებულია მოძრაობა ლა-მანშის სრუტის ქვეშ გაშვებულ გვირაბში.

ბაზრძალაბა A7 გვერდზე



დიდთოვლობის გამო ვაშინგტონში სახელმწიფო დაწესებულებებმაც შეწყვიტეს მუშაობა.

## რეს სამხედროებს საქართველოში ლტოლვილის სტატუსი სურთ

ცხინვალში განლაგებული რუსეთის სამხედრო ნაწილიდან გამოქცეულმა რუსმა სამხედრომ, 25 წლის ვიტალი ხრიპუნმა საქართველოს ხელისუფლებას ლტოლვილის სტატუსის მინიჭება სთხოვა.

როგორც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ჟურნალისტებს ვიტალი ხრიპუნმა განუცხადა, მან ცხინვალი გუშინ დატოვა და მადლობელია საქართველოს ხელისუფლების, რომ ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობა მისცა.

"ინტერპრესნიუსის" ცნობით, ხრიპუნმა გადმოსვლის მიზეზად საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები დაასახელა და აღნიშნა, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება მისთვის ძალიან ძნელი იყო.

ხრიპუნი ცხინვალის სამხედრო ნაწილში მიმდინარე წლის 6 დეკემბრიდან მსახურობდა. ლტოლვილთა და რეპატრიაციის სამსახურის უფროსის ირაკლი კოკაიას განცხადებით, ხრიპუნისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება 4 თვის განმავლობაში მოხდება.

საქართველოს ხელისუფლებას თავშესაფარს რუსეთის კიდევ ერთი ჯარისკაცი დიმიტრი ხრიკევი სთხოვს. ის საოუკუპაციო ჯარის იმ ნაწილიდან გაიქცა, რომელიც სოფელ პერევეთან არის დისლოცირებული.

აღნიშნულ ფაქტამდე, რუსეთის სამხედრო შენაერთების რიგები ალექსანდრ გლუხოვმა და ნიკოლაი არტენიევმა დატოვეს.

### გიგა ბოკერია ვენაში იმყოფება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გიგა ბოკერია ეუთო-ს ფარგლებში შეხვედრებს მართავს. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის განცხადებით, შეხვედრებზე საქართველოში ეუთო-ს მანდატთან დაკავშირებულ სამომაველო პერსპექტივებს განიხილავენ.

მისივე ცნობით, ვიზიტის ფარგლებში ბოკერია ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ასევე ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს პიერ მორელის შეხვდება.

ბოკერია ვენაში ვიზიტს რამდენიმე დღეში დაასრულებს.

### აფხაზეთში H1N1 ვირუსმა იმატა

ოკუპირებულ აფხაზეთში, კერძოდ კი გალის რაიონის სოოლებში სასწავლო პროცესი შეწყდა. ამის მიზეზად ე.წ. ღორის გრიპის ვირუსით დაავადებულთა რაოდენობის მატება სახელდება.

რაიონში უკვე რამდენიმე დღეა, კარანტინია გამოცხადებული. სასწავლო პროცესი კი სავარაუდოდ 18 იანვრის შემდეგ განახლდება.

აფხაზეთში ბოლო 5 დღის მანძილზე H1N1 ვირუსით დაავადების 202 შემთხვევა დაფიქსირდა. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრმა დალილა ხორავამ განუცხადა. "ვირუსის პიკმა აფხაზეთის დასავლეთიდან აღმოსავლეთ ნაწილში გადმოიწაცლა და ამჟამად საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში. გალის რაიონის მხოლოდ 5 სოფელში 16 დეკემბრის შემდეგ H1N1 ვირუსით დაავადების უკვე 80 შემთხვევაა დაფიქსირებული. სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში კი ამ დროისთვის 40 პაციენტი რჩება," - განაცხადა დალილა ხორავამ.

მისივე ინფორმაციით, ზუგდიდის საავადმყოფოში გალის რაიონის სოფლებიდან აჩიგვარადან და კოხორიდან ორი 10 წლის ბავშვი მაღალი ტემპერატურით გადმოიყვანეს, მათ H1N1 ვირუსი დაუდგინდათ და ამ დრომდე ზუგდიდის საავადმყოფოში რჩებიან.

"ადმინისტრაციულ საზღვარზე პაციენტების გადმოსვლა პრობლემებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, გუშინ რუსმა სამხედროებმა არ გამოატარეს მცირეწლოვანი ბავშვი სოფელ ნაბაკევიდან და მილიციის განყოფილებაშიც კი გადაიყვანეს. ამასთან, ენგურის ხიდზე ყოველი გადმოსვლისას და უკან დაბრუნებისას თანხაა გადასახდელი, რისი საშუალებაც გალის რაიონის მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს," - განაცხადა დალილა ხორავამ.

მისივე თქმით, საქართველოსა და აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროები აფხაზეთის ტერიტორიაზე გრიპის საწინააღმდეგო პრეპარატებს მუდმივად აგზავნიან და აფხაზ კოლეგებს ამ გზით ეხმარებიან.

"მოუწონდებ აფხაზ კოლეგებს, გვერდით გადავდოთ ამბიციები და პოლიტიკა და ჩვენი ხალხის ჯანმრთელობაზე ერთად ვიზრუნოთ," - განაცხადა დალილა ხორავამ.

"ინტერპრესნიუსის" ცნობით, სოხუმის რეჟიმი ამტკიცებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ე.წ. ღორის გრიპის შემთხვევა ჯერჯერობით არ დაფიქსირებულია.

### მედვედევის მილოცვა

გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა ლეო ბოკერიას დაბადების დღე მიულოცა. ბაკულების სახელობის მოსკოვის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრის დირექტორს 70 წელი შეუსრულდა.

"თქვენ, ნიჭიერ ქირურგს და მეცნიერს, კარგად გიცნობენ რუსეთში და საზღვარგარეთ. თქვენს სახელთანაა დაკავშირებული კლინიკური მედიცინის ახალი მიმართულებების განვითარება და პრაქტიკაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მონწივე მეთოდების დანერგვა," - აღნიშნულია მედვედევის მისალოც დეპეშაში.

# ქუთაისში ტრაგედიას ოპოზიციის საპროტესტო აქცია მოჰყვა

პირველი გვარდიიდან

აქციაში მონაწილეობდა "ალიანსი საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერი სოზარ სუბარიც. ალასანიას გუნდის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ მომხდარიის გამო აუცილებლად უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი კომისია, რომელიც დამნაშავე პირებს დროულად გამოავლენს.

"ეროვნული ფორუმის" ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ ტრაგედიაში საქართველოს ხელისუფლებას დასდო ბრალი. **"ეს არის ბრძოლა საკუთარ ისტორიასთან, საკუთარ მეხსიერებასთან. ეს ნანგრევი არის სიმბოლო იმისა, რაც ამ ქვეყანას დღევანდელმა ხელისუფლებამ დამართა,"** - განაცხადა გუშინდელ აქციაზე სანიკიძემ.

შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენლის, ამჟამად

ოპოზიციონერ თემურ შაშიაშვილის აზრით, ქუთაისს არ სჭირდება "სათადარიგო პარლამენტი". მისივე თქმით, 19 დეკემბრის ტრაგედიის მიზეზი სააკაშვილის ერთპიროვნული ბრძანება გახდა. როგორც გუშინ შაშიაშვილმა განაცხადა, პრეზიდენტი იმიტომ აჩქარდა, რომ ქუთაისის მოსახლეობა ისტორიული ძეგლის დემონტაჟისა და ახალი პარლამენტის მშენებლობის შესახებ საქართველოს ხელისუფლების ინიციატივას უარყოფითად შეხვდა.

მწვავე კრიტიკის საგანი გახდა თავად ის ფაქტი, რომ ტრაგედიის შემდეგ ნანგრევებზე გაჩნდა წარწერა - აქ აშენდება პარლამენტის შენობა. როგორც გუშინ "ხალხის პარტიის" ლიდერმა კობა დავითაშვილმა განაცხადა, **"ადამიანთა სისხლსა და ძვლებზე პარლამენტის შენობის აგება არ შეიძლება."**

# ცვლილებაში მთავრობაში

სალომე გალისაშვილი

გუშინ ხელისუფლებაში ახალი საკადრო ცვლილებები განხორციელდა.

სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე ხათუნა კალმახელიძე დაინიშნა. მან დიმიტრი შაშკინი შეცვალა, რომელმაც ორის კვირის წინ განათლების მინისტრის პოსტზე ნიკა გვარამია ჩაანაცვლა.

კალმახელიძე ახალ თანამ-

დებობაზე მთავრობის მეთაურმა ნიკა გილაურმა წარადგინა. როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ხათუნა კალმახელიძეს განათლება აშშ-ში აქვს მიღებული, ხოლო რამოდენიმე წელია, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს.

**"ვაცნობიერებ იმ პასუხისმგებლობას, რაც პრემიერმა მომანიჭა და ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს მზად ვარ, ჰუმანიზმით ვიხელმძღვანელო. ჩემი მიზანი იქნება იმ რეფორმების გაგრძელება, რომლებიც დიმიტრი შაშკინმა დაიწყო,"** - განაცხადა კალმახელიძემ.

# წმინდა სინოდი არაპის განკვეთას არ გეგმავს

### მარი ახსიაშვილი

საზოგადოების ერთმა ნაწილმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდს მიმართვა გაუგზავნა. ტექსტის ავტორებმა პრესკონფერენცია გუშინ "არტ კაფეში" გამართეს. სინოდისადმი განკუთვნილი მიმართვა ვასილ კობახიძემ წაიკითხა.

ტექსტის ავტორების ინფორმაციით, სინოდის წევრები დღევანდელ კრებაზე ორი დეკანოზის, ზაზა თევზაძის და კახაბერ კურტანიძის მიმართ სადამსჯელო ღონისძიებებს გეგმავენ. ამ ორმა მღვდელმსახურმა იმ შეკითხვებს მოაწერა ხელი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ნაწილმა საპატრიარქოსა და ხელისუფლებას 3 დეკემბერს გაუგზავნა.

"საჯაროდ ვაცხადებთ, რომ საქართველოს საპატრიარქოს მიმართ საზოგადოებაში წლების მანძილზე დაგროვილი კითხვების შემცველ ღია წერილზე ხელის მონერისათვის დეკანოზების - ზაზა თევზაძისა და კახაბერ

საქართველოს მთავრობაში კიდევ ერთი საკადრო ცვლილება განხორციელდა. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი იულონ გაგომიძე დეპუტატმა პაპუნა დავითაიამ შეცვალა. **"პაპუნა დავითაია კულტურის სამინისტროში მუშაობის დროს სწორედ დიასპორის საკითხებს კურირებდა. ის ამ სფეროს კარგად იცნობს,"** - განაცხადა გილაურმა. დეპუტატი დავითაია პარლამენტშიც ამ მიმართულებით მუშაობდა. **"საზღვარგარეთ საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს, რომლებსაც სურვილი აქვთ, სამშობლოსთან ურთიერთობა გააგრძელონ. ამისთვის აუცი-**

**ლი მიაყენეს,"** - ასეთია "მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" პოზიცია.

ამ თემაზე "ქართული დასის" ლიდერმა, დეპუტატმა ჯონდი ბალათურიამ ბრიფინგი გამართა. ბალათურიამ იმ პირის ვინაობის გარკვევა და დასჯა მოითხოვა, რომელმაც ქუთაისში, ტრაგედიის ადგილას პარლამენტის შენობის აგების შესახებ აბრის გაკვრა გაბედა. **"8 წლის ბავშვისა და მისი დედის დაღუპვის გამო შავი ლენტისა და შავი დროშების გამოფენის ნაცვლად, ვილაცამ ითავხედა და პარლამენტის შენობის მშენებლობის დაწყების აბრა აღმართა,"** - განაცხადა ბალათურიამ. მისივე თქმით, ისტორიულ ძეგლებსა და წარსულის წინააღმდეგ სამარცხვინო ბრძოლა მიმდინარეობს.

*საკუთარი ინფორმაცია*

**ლებლად საჭიროა ხელშეწყობა. უნდა შემუშავდეს ისეთი მექანიზმი, რომელიც მათ სამშობლოსთან ურთიერთობის გაგრძელებაში დაეხმარება,"** - აღნიშნა დიასპორის საკითხებში ახალმა სახელმწიფო მინისტრმა. დავითაიამ გუშინ პრემიერ-მინისტრსა და მთავრობას ნდობისთვის მადლობაც გადაუხადა. რაც შეეხება იულონ გაგომიძეს, პრემიერის განცხადებით, ექს-სახელმწიფო მინისტრი პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებულ არქეოლოგიური კვლევის ცენტრს უხელმძღვანელებს. როგორც იულონ გაგომიძემ შენიშნა, მოხარულია, რომ არქეოლოგიას უბრუნდება.

პატრიარქოს სახელით," - ნათქვამია განცხადებაში.

"თავისუფლების ინსტიტუტის" წევრის, თეა თუთბერიძის განცხადებით, "22 დეკემბრის კრებისგან საზოგადოება კათოლიკოს-პატრიარქისთვის კითხვების დამსმელ ადამიანთა მიმართ არა წყველა-კრულვას, არამედ მთელ რიგ მწვავე პრობლემებზე ეპისკოპოსების ნათელ პოზიციას მოელის".

მიმართვის ავტორები ითხოვენ, წმინდა სინოდმა თავისი პოზიცია მართლმადიდებლობის სახელით განხორციელებული რელიგიური ექსტრემიზმისა და ექსტრემისტების მიმართ გამოხატოს.

"წარსულში წმინდა სინოდი გმობდა მხოლოდ ე.წ "ლიბერალურად" განწყობილ სასულიერო პირებს, ყოფილ დეკანოზ ბასილ კობახიძეს და დეკანოზ ზაზა თევზაძეს. ქართველ მართლმადიდებელ ეპისკოპოსებს პერსონალურად არასოდეს დაუფრიათ მართლმადიდებელ ფუნდამენტალისტთა ქმედებები, რაც ამ უკანასკნელთ საშუალებას აძლევს, იმოქმედონ საქართველოს სა-

ლიგიური უმცირესობებისა და ზოგადად, ადამიანის უფლებები; საპატრიარქოში არსებული კორუფციის ფაქტები და სხვა," - აღნიშნულია მიმართვაში.

საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, დღეს მართლაც დაგეგმილია ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, თუმცა მასზე დასახელებული დეკანოზების განკვეთის საკითხი საერთოდ არ განიხილება.

"ზაზა თევზაძის და კახაბერ კურტანიძის განკვეთა არ იგეგმება. ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. სინოდის სხდომა დახურული იქნება და მას მხოლოდ სინოდის წევრები დაესწრებიან. რა საკითხებს განიხილავენ სინოდის სხდომაზე, უცნობია.

წმინდა სინოდის განჩინება კრების შემდეგ გახდება ცნობილი," - ნათქვამია საპატრიარქოს მიერ გაკეთებულ ოფიციალურ განმარტებაში.

წმინდა სინოდის კრებას პატრიარქი უხელმძღვანელებს და მასში ყველა მღვდელმთავარი მიიღებს მონაწილეობას.

**გაზეთ "24 საათის" გამოცემებილი შპს "გვ3". რედაქტორ-გამომცემილავი:** გამჟჰა ფაჩჰაშჰილი, პაატა მჰშაჰიძი.

**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალავანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით წინკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)

სოფო კილასონა (რეჟიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეალაჰის და რაპატიჰისი პინეჰარი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტარული ცანტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჟერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქრიაი, ნინო ყაველაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, 01-86. **ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ:** 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). **ფაქსი:** 31-93-86. **ელ-ფოსტა:** public@24hours.ge

# მზადება საკონსტიტუციო ცვლილებაებისთვის

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, მთავრობა ამ მიმართულებით კიდევ ერთი პრინციპული წინადადებით გამოდის: საკონსტიტუციო ინიციატივა რეფერენდუმთან დაკავშირებით აქციზის გადასახადს არ შეეხება. გადანევრეტილების მიზეზი, ლეჟავას განცხადებით, ისაა, რომ აქციზის გადასახადი განსაკუთრებული ტიპისაა, მისი საშუალებით ხდება ფუფუნების საგნებისა და ისეთი სახის საქონლის დაბეგვრა, რომელიც ზიანს აყენებს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას.

აქციზთან დაკავშირებულმა სიახლემ ბიზნესმენების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ბიზნესსაოციაცია აქციზის განაკვეთების რეგულირებას ითხოვს. აღნიშნული საკითხი შეხვედრაზე ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ დააყენა. როგორც ფხაკაძე აცხადებს, "აქციზის განაკვეთების ზრდა პირდაპირ იქნება დამოკიდებული ფასების ზრდაზე, ამიტომ აღნიშნული საკითხი გარკვეულწილად კანონით რეგულირებადი უნდა იყოს, რათა ხელისუფლებას, ნებისმიერ დროს, ბიუჯეტში დეფიციტის შესავსებად, აქცი-

ზის განაკვეთების შეზღუდვად გაზრდის შესაძლებლობა არ ჰქონდეს".

ამასთან, ბიზნესსაოციაციამ მოსალოდნელი საგადასახადო ცვლილებების შემუშავების პროცესში ჩართვაც ითხოვა:

**"ჩვენი ინფორმაციით, მზადდება საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები. ასოციაციამ შექმნილია სპეციალური კომიტეტი, რომელიც სერიოზული კადრებით და წარმომადგენლებით დაკომპლექტდა და მნიშვნელოვანი იქნება, თუ საგადასახადო ცვლილებების მომზადების პროცესში კომიტეტიც ჩაერთვება,"** - განაცხადა ფხაკაძემ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ბიზნესმენებმა შეხვედრაზე დასვეს, საკუთრების უფლების მეტი გარანტიების დაკანონებაა: **"ბიზნესის განვითარებისთვის კერძო საკუთრების უფლებას და მის დაცულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რაზეც უფრო მეტი გარანტიები უნდა არსებობდეს,"** - განაცხადა გუშინ სოსო ფხაკაძემ.

პროექტში ასევე ნათქვამია, რომ ხანგრძლივადიანი სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზ-

რუნველსაყოფად, მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვარს და ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრინციპებს საქართველოს ორგანული კანონი ადგენს. სავარაუდოდ, სწორედ ამ ორგანულ კანონში ჩაიდება საკუთრების უფლების დაცვის დამატებითი ბერკეტები და გარანტიები.

პრეზიდენტის მიერ დეკლარირებული "ეკონომიკური თავისუფლების აქტი", გადასახადების გასაზრდელად რეფერენდუმის ჩატარების გარდა, შემდეგ კომპონენტებს გულისხმობს: ამ აქტით გათვალისწინებულია, რომ საბიუჯეტო ხარჯების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) არ იქნება 30 პროცენტზე მეტი; ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-სთან კონსტიტუციურად დაფიქსირდება, რომ იქნება არა უმეტეს 3 პროცენტისა; მთლიანი სახელმწიფო ვალის შეფარდება მშპ-სთან იქნება არა უმეტეს 60 პროცენტისა. ასევე აიკრძალება ახალი მარეგულირებელი ორგანოების შექმნა; აიკრძალება ახალი ლიცენზიების და ნებართვების შემოღება.

პრეზიდენტის განცხადებით, სახელმწიფოს აეკრძალება კომერციული ბანკების წილების

ფლობა და ნებისმიერი სახის პროდუქციასა და მომსახურებაზე ფასის დანესება, რითაც "საქართველოში მუდმივად იქნება უზრუნველყოფილი ფასების დადგენის თავისუფლება".

პრეზიდენტმა "ეკონომიკური თავისუფლების აქტის" ინიცირებისას ისიც თქვა, რომ ქარტია მოიცავს "ეკონომიკური დემოკრატიის" ისეთ მიმართულებებს, როგორცაა სოციალური სფერო და განათლება. მისი თქმით, თავისუფლების აქტი შემდგომში განავითარებს ბიუჯეტის სოციალურ ნაწილს იმ პრინციპის მიხედვით, რომ საბიუჯეტო სახსრები მიმართული უნდა იყოს მხოლოდ იმათ დახმარებაზე, ვინც ამას ყველაზე მეტად საჭიროებს; ასევე დაკანონდება სასკოლო ვაუჩერების გამოყენების უფლება, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სკოლებში.

თუმცა, ჯერჯერობით, "ეკონომიკური თავისუფლების აქტის" მიღების პროცესი საწყის ეტაპზეა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქტში გათვალისწინებული ცვლილებების განსახილველად, გუშინ შესაბამისი კომისიის სხდომა პირველად შეიკრიბა.

## სახელმწიფო სტრატეგია - მხოლოდ საყოველთაო კონსენსით

უშიშროების საბჭომ, რეინტეგრაციის მინისტრთან ერთად, შეიმუშავა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის პროექტი, რომლის არსი მშვიდობიანი გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაზე მუშაობა მომავალი წლის იანვრიდან დაიწყება. ასეთი პირობა პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლებმა პირადად უშიშროების საბჭოს მდივნისგან ეკატერინაშვილისგან მიიღეს. სამოქმედო გეგმა უახლოეს მომავალში ოსურ და აფხაზურ საზოგადოებებს გადაეგზავნება და მათი შენიშვნები და მოსაზრებები პროექტში გათვალისწინებული იქნება.

### ნათია მსხილაძე

სახელმწიფო სტრატეგიაზე მუშაობა წლის ბოლომდე დასრულდება, მომავალი წლის დასაწყისიდან კი სამოქმედო გეგმაზე დაიწყება მუშაობა. საწყის ეტაპზე ხელისუფლება ექსპერტთან სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს. **"მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ დაწყებულიყო მუშაობა სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაზე, რომელიც იმპლემენტაციის განხორციელების მექანიზმებს განსაზღვრავს. მივიღეთ პირობა, რომ ამაზე მუშაობა იანვრიდან დაიწყება და ექვსთვიანი სამუშაო გეგმა შემუშავდება, რაც ამ ეტაპზე ჩვენივეს დამაკმაყოფილებელია,"** - აღნიშნა შეხვედრის დასრულების შემდეგ საპარლამენტო ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენელმა ნიკა ლალიაშვილმა.

ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით სახელმწიფო სტრატეგიას ლალიაშვილი მნიშვნელოვან დოკუმენტად აფასებს. **"ის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მისი შემუშავება შეძლო, ქვეყნისთვის მისალოცია. ვფიქრობ, ამ დოკუმენტის მიმართ ნაკლები კრიტიკა და მეტი მხარდაჭერა**

**უნდა არსებობდეს,"** -

განაცხადა საპარლამენტო ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენელმა.

**"ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას" ოკუპირებულ ტერიტორიების შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის მიმართ შენიშვნები აქვს. ბაჩუკი ქარდავას განცხადებით, ედგ მხარს უჭერს ასეთი სტრატეგიის არსებობას, თუმცა მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ მომზადებული შესაბამისი დოკუმენტი, ჯერჯერობით, საკმაოდ ბუნდოვანი და ზოგადია. "მოვითხოვთ იმის განმარტებას, რას ნიშნავს დოკუმენტში ჩადებული ის მუხლი, სადაც წერია, რომ უნდა განხორციელდეს ეკონომიკური ურთიერთობა კონფლიქტურ რეგიონებთან და იმ მოსახლეობის დახმარება, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობს. არავითარ შემთხვევაში არ დავუჭერთ მხარს იდეას, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასა და მარიონეტულ რეჟიმებს შორის რაიმე სახის ეკონომიკური კონტაქტი არსებობდეს,"** - განაცხადა ქარდავამ.

მეორე პრინციპული საკითხი, რომლის მიმართაც ედგს კონკრეტული შენიშვნები აქვს, ევროკავშირის მისიის გა-

ფართოებას ეხება. **"მიგვანია, რომ დოკუმენტში უნდა გაინეროს კონკრეტული გეგმა, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ევროკავშირის მისიის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გავრცელებისთვის,"** - აღნიშნა ქარდავამ.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილის განცხადებით, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების პროცესში ოპოზიციური პარტიების ლიდერთა შენიშვნები გათვალისწინებული იქნება. **"ეს იყო ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა, რომელზეც საკითხთა ფართო სპექტრი განვიხილეთ და რამდენიმე საკითხს ჩავუდრმავდით, ვინაიდან საკმაოდ დიდი იყო ინტერესი. გასაგებია, რომ პოლიტიკური ძალები ამ საკითხში სიფრთხილეს იჩენენ და ჩვენ მათგან მნიშვნელოვანი კომენტარები მოვისმინეთ. ეს ის ხალხია, ვინც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ადევნებს,"** - განაცხადა, უშიშროების საბჭოს აპარატში ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, თემურ იაკობაშვილმა. მინისტრის განმარტებით, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტი რეალურად განხორციელებადი უნდა იყოს და არა უზრაოდ დეკლარაცია.

უშიშროების საბჭოს გუშინდელ შეხვედრაში არ მონაწილეობდნენ "ალიანსი საქართველოსთვის" და " კონსერვატორები".

ალიანსის წარმომადგენლის ვიქტორ დოლიძის განაცხადებით, მათი გაერთიანება ხელისუფლების პიარ-აქციებში მო-

ნაწილეობას არ აპირებს.

რაც შეეხება "კონსერვატორების" პოზიციას, უშიშროების საბჭოს გუშინდელ სხდომაზე დაუსწრებლობის მიუხედავად, მზად არიან, სახელმწიფო სტრატეგიის პროექტს გაეცნონ და საკუთარი შენიშვნები ხელისუფლების წარმომადგენლებს სამუშაო ვითარებაში წარუდგინონ. **"იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უშიშროების საბჭოს წინა სხდომები თეატრალურ ფორმატში წარიმართა, სხდომას არ დავცნართ. მიგვანია, რომ წინა სხდომები სერიოზული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტას რეალურად ხელს არ უწყობდა. პარტია დაინტერესებულია, მონაწილეობა მიიღოს ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციის სტრატეგიის შემუშავების პროცესში. ჩვენ გავცენობით სტრატეგიის პროექტს, რომელიც უშიშროების საბჭოს აპარატმა მოგვანოდა. უახლოეს დღეებში კი, არასაპარლამენტო ოპოზიციასთან და საზოგადოებასთან კონსულტაციების შემდეგ, მზად ვიქნებით, ჩვენი შენიშვნები სამუშაო ვითარებაში ხელისუფლების წარმომადგენლებს გავაცნოთ,"** - აღნიშნულია "კონსერვატორების" განცხადებაში.

უშიშროების საბჭოს მდივანი ეკატერინაშვილი იმედოვნებს, რომ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც გუშინდელ შეხვედრაში არ მიიღეს მონაწილეობა, მომავალში სტრატეგიის განხილვას შეუერთდებიან. **"მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგია ერთობლივი ძალისხმევით, ერთობლივი მუშაობის შედეგი იყოს და ფართო კონსენსუსით იქნეს მიღებული,"** - განაცხადა ტყემლაშვილმა.

### ბაგაფში თურქეთში ჩასვლას აპირებს

აფხაზური წყაროების ცნობით, სერგეი ბაგაფში თურქეთში ჩასვლას და ადგილობრივი ხელისუფლებისა და აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრას აპირებს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ნინო კალანდაძის განცხადებით, საგარეო უწყება საქართველოში თურქეთის ელჩისაგან მიიღებს ინფორმაციას, ნამდვილად იგეგმება თუ არა თურქეთში სოხუმის მარიონეტული რეჟიმის ხელმძღვანელის ვიზიტი.

აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ლიდერის თურქეთში დაგეგმილ ვიზიტთან დაკავშირებით "ქრისტიან-დემოკრატებმა" შეშფოთება გამოთქვეს. ამის შესახებ განცხადება "ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენელმა ნიკა ლალიაშვილმა გუშინ, პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

როგორც მან აღნიშნა, ის ინფორმაცია, რომ ბაგაფში თურქეთში ვიზიტს და ოფიციალური შეხვედრების გამართვას გეგმავს, შემთვფოთებელია.

ლალიაშვილი აქცენტს ბაგაფშის იმ განცხადებაზე აკეთებს, რომლის თანახმად, გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები იგეგმება. ცვლილების საფუძველზე, თურქეთში არსებულ აფხაზურ დიასპორას მომავალში არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მიეცემა.

რაც შეეხება ბაგაფშის განცხადებებს, ლალიაშვილი მიიჩნევს, რომ, ამის მოსაგვარებლად "საჭიროა მხოლოდ რამდენიმე მარტივი სამართლებრივი პროცედურის ჩატარება, რაც წერტილს დაუსვამს მარიონეტული რეჟიმების ლიდერების პოტენციურ ვოიაჟებს ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში".

### აფხაზური მანდარინი ყარაჩაი-ჩერქეზეთში

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. მთავრობამ ყარაჩაი-ჩერქეზეთში სამი ტონა მანდარინი გაგზავნა. ეს მანდარინი იმ ყარაჩაელ-ჩერქეზეთა ოჯახებს შორის დარიგდება, ვინც 1992-1993 წწ კონფლიქტის დროს აფხაზი სეპარატისტების მხარეს იბრძოდა და დაიღუპა. ჯი-ეიჩ-ენ-ის ცნობით, ეს აქცია ყოველწლიურია.

### სტალინის დაბადების დღე აღნიშნეს

გუშინ გორში და მოსკოვში იოსებ სტალინის 130-ე დაბადების დღე აღნიშნეს. გავრცელებული ინფორმაციით, გორში, სტალინის ძეგლთან 200-მდე ადამიანი შეიკრიბა და ძეგლი ყვავილებით შეამკეს. "მედიანიუსის" ცნობით, მოსკოვში უფრო მსხვილმასშტაბიანი აქცია გაიმართა. რუსეთის კომუნისტური პარტიის მიტინგში 2000-ზე მეტი ადამიანი იღებდა მონაწილეობას. მათ მსვლელობა მოაწყვეს სტალინის საფლავისკენ და ის ყვავილებით შეამკეს.

### ოფიციალური მოსკოვი ედუარდ კოკოთის გადაწყვეტილებას მიესალმება

ოფიციალური მოსკოვი მიესალმება სეპარატისტთა ლიდერის ედუარდ კოკოთის გადაწყვეტილებას ქართველი მოზარდების შეწყალების შესახებ.

როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გავრცელებულ გუშინდელ კომენტარშია აღნიშნული, ბუჩუკურისა და ხმიადაშვილის ბრალეულობა საზღვრის უკანონო გადაკვეთაში, ქურდობასა და საბრძოლო მასალების შენახვაში სასამართლოს მიერ დადასტურებულია.

"იმ პირობებში, როდესაც ქართული მხარე განაგრძობს პროოკაციებსა და ოსი ეროვნების მოქალაქეების დაკავებას ქართული-ოსური საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე და უარს აცხადებს 2008 წლის შემიდგომაზე დაკავებული 5 ოსის, მათ შორის არასრულწლოვნების, შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტისთვის მარტივი არ იყო ამ ნაბიჯზე წასვლა. ამით ცხინვალმა პოლიტიკური სიძნელე და გამძვინვარება გამოავლინა, ასევე დაამტკიცა ვითარების სტაბილიზაციისკენ მისწრაფება," - აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

### საახალწლო დახმარება დევნილებს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრებმა და კერძო კომპანიებმა აფხაზეთიდან დევნილ აფხაზ ოჯახებს საახალწლო დახმარება გადასცეს. რვა აფხაზურმა ოჯახმა, რომელთა შორის მრავალშვილიანი ოჯახებიცაა, საკვები პროდუქტები, მათ შორის ტკბილეული მიიღეს. კომპანია "ფასტ პლეისმა" კი მათ ავეჯიც გადასცა. აფხაზეთის მთავრობის რეგირონული მართვის უფროსმა კორნელი სალიამ კომპანიებს აფხაზეთისთვის გაწეული დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა.

"ეს ოჯახები ერთ თვეზე მეტია, აფხაზეთიდან გადმოვიდნენ და მათ ქართველი ხალხისგან სჭირდებათ როგორც მორალური, ისე მატერიალური დახმარება. რაც უფრო მეტი იქნება ასეთი აქციები, მით მეტი იქნება აფხაზეთის მშვიდობიანად დაბრუნების შანსი," - განაცხადა აფხაზეთის მთავრობის რეგირონული მართვის უფროსმა კორნელი სალიამ. სააგენტო "ინტერპრესნიუსის" ცნობით, კომპანია "მითანას" წარმომადგენლების განცხადებით, კომპანია ერთ-ერთ აფხაზ დევნილს დაასაქმებს და მისი მინიმალური ხელფასი 400 ლარი იქნება.

"აფხაზეთში სრული ინფორმაციული ბლოკადა და ვიდრე სოხუმში ვცხოვრობდი, ქართველები მოსისხლე მტრები მეგონა, მაგრამ აქ ძალიან თბილად დაგვგება როგორც საქართველოს და აფხაზეთის მთავრობა, ისე მოსახლეობა. მაგალითად, კახეთიდან ერთი გლეხი ჩამოვიდა და ჩანთებით საკვები ჩამოგვიტანა. ასეთ თბილ მიღებას არ ველოდიოთ," - განუცხადა "ინტერპრესნიუსს" სოხუმიდან დევნილმა დარია შაპკოვსკაიამ.

8 აფხაზური ოჯახი, რომლებმაც აფხაზეთის ტერიტორია ბოლო 2 თვის განმავლობაში დატოვეს, ლილოს დასახლებაში გასულ კვირას შეასახლეს.

# უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი სანარმოებო მოდის

## მანანა პარდიავილი

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2009 წლის მესამე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 223,6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 72,2 პროცენტით აღემატება 2009 წლის პირველი კვარტალის (129,8 მილიონი აშშ დოლარი), 47,3 პროცენტით - 2009 წლის მეორე კვარტალის (151,8 მილიონი აშშ დოლარი), ხოლო 66 პროცენტით კი - 2008 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს (134,7 მილიონი აშშ დოლარი).

2009 წლის პირველ ათ თვეში საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ სულ 505,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: მრეწველობა -

143,9 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 28,5 პროცენტი); უძრავი ქონების სექტორი - 103,6 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 20,5 პროცენტი); სამშენებლო სექტორი - 65,7 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 13 პროცენტი); ენერგეტიკის სექტორი - 30,1 მლნ აშშ

დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 6 პროცენტი); ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 29,3 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 5,8 პროცენტი); საბანკო სექტორი - 7,6 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 1,5 პროცენტი); სოფლის მეურნეობა, თევზჭერა - 5 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 1 პროცენტი); დანარჩენი მომსახურება - 120 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 23,7 პროცენტი);

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მიხედვით, ქვეყნების პირველი სამეული

შემდეგნაირად გამოიყურება: არაბეთის გაერთიანებული საემიროები - 145 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 28,7 პროცენტი); ეგვიპტე - 115 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 22,8 პროცენტი); თურქეთი - 71,5 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 14,2 პროცენტი);

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2009 წლის იანვარ-სექტემბერში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მიხედვით, ქვეყნების პირველი ათეული შემდეგნაირად გამოიყურება: არაბეთის გაერთიანებული საემიროები - 145 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 28,7 პროცენტი); ეგვიპტე - 115 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 22,8 პროცენტი); თურქეთი - 71,5 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 14,2 პროცენტი); პანამა - 61,1 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 12,1

პროცენტი); ნიდერლანდები - 46,2 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 9,1 პროცენტი); გაერთიანებული სამეფო - 41,5 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 8,2 პროცენტი); ინდოეთი - 20,1 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 4 პროცენტი); რუსეთი - 13,4 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 2,7 პროცენტი); კვიპროსი - 12,7 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 2,5 პროცენტი); ავსტრია - 12,6 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 2,5 პროცენტი).

2009 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი სანარმოებო განხორციელებულ ინვესტიციებზე მოდის. აღნიშნულ პერიოდში სანარმოებო სულ 430,1 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც ინვესტიციების მთლიანი მოცულობის

85,1 პროცენტია. პრივატიზებაში სულ 67,5 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 13,4 პროცენტს შეადგენს, ხოლო საბანკო სექტორის ინვესტიციების მოცულობა - 7,6 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 1,5 პროცენტი).

2009 წლის მესამე კვარტალში, მეორე კვარტალთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა რიგ სექტორებში. მათ შორის, მშენებლობაში ინვესტიციების მოცულობა 10-ჯერ გაიზარდა, ტრანსპორტში - 6-ჯერ, სოფლის მეურნეობაში - 3-ჯერ, მრეწველობაში კი ინვესტიციების მოცულობა თითქმის გაორმაგდა.

*საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო*



## “არსელორმეტალი კრივოი როგი”: უკვე დღეს - მომავლის არმატურაზე



შპს “არსელორმეტალი კრივოი როგის” წარმოების სამშენებლო პროდუქცია

პოსტსაბჟოთა სივრცეში სამშენებლო არმატურის წარმოებაში ერთ-ერთი ლიდერი აქტიურ დილაგს ქართველ პარტნიორებთან ისევ აგრძელებს. მომავალი თანამშრომლობის აუცილებლობის გაღრმავება ნოემბერში, თბილისში გამართულმა საერთაშორისო კონფერენციამ “მომხმარებლის ენაზე” დაადასტურა. კონფერენციაში შპს “არსელორმეტალი კრივოი როგის” ტომ-მენეჯერები და კავკასიის რეგიონში სანარმოო პარტნიორები მონაწილეობდნენ. საქმიანი საუბრის პროცესში, საქართველოს ბიზნეს-სტრუქტურის წარმომადგენლების მიერ აღინიშნა, რომ ქვეყანაში სამშენებლო ბიზნესი ისევ კრეფს ტემპს და მოსალოდნელია შესაბამისი მეტალოპროდუქციაზე მოთხოვნის გაზრდა. პროდუქციაზე, რომელსაც ექნება ისეთი ტექნიკური თვისებები და ხარისხის მაღალი მაჩვენებელი, რომ საქართველოში, სეისმოლოგიურ ზონებში აშენებული ახალი რკინა-ბეტონის შენობები ყველა საჭირო მოთხოვნას აკმაყოფილებდეს.

“განვითარების სტრატეგია და ხარისხის მუდმივი ზრდა მთლიანად კორპორაცია “არსელორმეტალის” მახასიათებელია, მათ შორის ჩვენი სანარმოოც”, - აცხადებს შპს “არსელორმეტალი კრივოი როგის” დირექტორი ხარისხის დარგში ვასილი კუჩერი, - “ქართველ მომხმარებელთან ურთიერთობაში ჩვენ არამხოლოდ ვაკმაყოფილებთ, არამედ ვაჭარბებთ კიდევ მათ მოთხოვნებს. თბილისური შეხვედრის შემდეგ, სანარმოო უკვე განვიხილეთ საკითხები, რომელიც ამ კონფერენციაზე წამოიჭრა. მაგალითად, 10 დეკემბერს სანარმოო ხელმძღვანელობის, მთავარი სპეციალისტებისა და მოსკოვის რკინა-ბეტონის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლების მონაწილეობით, ჩატარდა აქტუალური პრეზენტაცია. იგი სეისმოლოგიურად აქტიურ რეგიონებში მშენებლობებისთვის წარმოებული სპეციალური ტიპის, ახალი, ეფექტური, არმატურის წარმოებას მიეძღვნა”.

სწორედ “არსელორმეტალი კრივოი როგს” აქვს ოპტიმალური თავსებადობა მექანიკური თვისების, კარგი შედუღებისა და პერიოდული პროფილის რაციონალური ფორმით, რაც განსაზღვრავს მომხმარებლის არჩევანს, როცა ის განსაკუთრებით საპასუხისმგებლო რკინა-ბეტონის ნაგებობისთვის უპირატესობას 500 მპა კლასის მდგრადობას ანიჭებს უპირატესობას. პროფილის ფორმა იძლევა იმის საშუალებას, რომ არმატურის მოჭიდება ბეტონთან სანდოობით გამოირჩეოდეს, გადაჭარბებული ზეწოლის შემთხვევაში და არმატურის გაუმჯობესებული მდგრადობის გამოიხატოს. ამავე დროს, ეს საშუალებას გაძლევთ, უშუალოდ განსაზღვროთ ობიექტზე შემოსული არმატურის მერქნის (წკირების) კლასი, სხვა დამატებითი მარკირების გარეშე. ეს არსებითად ამცირებს პროდუქციის შემოტანის დროს კონტროლს და არმატურის დახარისხებას სამშენებლო მოედნებსა და სამშენებლო ინდუსტრიის ნარმოებისთვის. გაუმჯობესებული შედუღების გამო, 15-20%-ით მცირდება ნორმატიული

ზეწოლის დროს ზზარები.

ხსენებული უპირატესობები არმატურის ფოლადის 500 მპა კლასის მდგრადობა საუკეთესოა სეისმოლოგიურ რეგიონებში პროექტირებადი კონსტრუქციების პროგრესირებადი ჩამონგრევის თავიდან ასაცილებლად.

პრეზენტაციის კიდევ ერთი - არანაკლებ მნიშვნელოვანი თემა იყო სტანდარტების შემუშავება ცხელი დამუშავების ფოლადის კლასიფიკატორებზე ზედამხედველი დაფარვის მეთოდით. ისეთი სტანდარტის არსებობა, რომელიც ზღუდავს პროდუქციის პარტიის ზედამხედველ მდგრადობას, შეიძლება ყოველ ეტაპზე იქნეს დადასტურებული - წარმოებიდან და სასაწყობო მეურნეობიდან ფოლადის კონსტრუქციების წარმოების სერტიფიკატამდე.

დღეს-ს ტერიტორიაზე ისეთი დოკუმენტების შემუშავებაში კანონმდებელი იყო და არის გვოზდების სახლობის ბეტონისა და რკინაბეტონის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (მოსკოვი). ვასილი კუჩერის განცხადებით, ქართველი მენარმეები თანახმა არიან, ასეთი საპასუხისმგებლო სამუშაო - წარმოებული არმატურის სერტიფიცირება - თავის თავზე ამ ავტორიტეტულმა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტმა აიღოს. აი, რას აცხადებს პრეზენტაციის მონაწილე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროექტირებისა და ექსპერტიზის ცენტრის ხელმძღვანელი, ტექნიკური მეცნიერებების კანდიდატი იგორ ტიხონოვი:

- ჩვენ მეტალომწარმოებლებთან თანამშრომ-

ლობისას თანაბარი პარტნიორები ვართ და წარმოვადგენთ მომხმარებელთა ინტერესს, პროდუქციას, მშენებლებს.

წარმატებული თანამშრომლობა ჩვენს ინსტიტუტსა და შპს “არსელორმეტალი კრივოი როგს” შორის რამდენიმე წელს მოითვლის, თუ “კრივაროვი სტალს” გავიხსენებთ, ეს უკვე ისტორიაა. სამი წლის წინ წარმოების პროდუქციას რუსული სტანდარტების მიხედვით გავუკეთეთ სერტიფიცირება, ეს სტანდარტები კი საერთაშორისოზე არანაკლებ მაკცრია. მეტალომწარმოების ხარისხის სასერტიფიკაციო შემოწმება ყოველკვარტალურად ხდება. ამიტომ, ჩვენ კარგად ვიცნობთ წარმოების პროდუქციას და შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ხარისხი ნამდვილად მაღალია. კონკურენციის ზრდა მიგვანიშნებს, როგორი სიახლეები იქნება მყიდველისთვის სეისმოლოგიურ ქვეყნებსა და რეგიონებში შეთავაზებული. ამასთან, როგორც მრავალი ბუნებრივი კატაკლიზმები გვიჩვენებს, ასეთი ადგილები ბევრია, შეიძლება ვთქვათ, ევროპის ცენტრის გამოკლებით. ახალ ეფექტურ წარმოებაზე მუშაობისას მეცნიერ-მეტალურგები, მათ შორის უკრაინელებიც, წინ წავიდნენ, მაგალითად, მათ შექმნეს მყარი ა500 კლასის არმატურა. ამ მოთხოვნადი პროდუქტის წარმოება წარმატებით აითვისეს შპს “არსელორმეტალი კრივოი როგის” საამქროებში. მაგრამ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და სხვა ქვეყნების მოთხოვნათა სრული დამაკმაყოფილებისთვის საჭიროა, შესაბამისი სერტიფიცირება ახალი პროფილეს წარმოებას კომპეტენ-

ტურმა ორგანიზაციებმა, ტექნოლოგიურებლებთან ერთად, გაუკეთონ. პრეზენტაციაზე ამავც ისაუბრეს.

“ჩვენ ამაზეც ვმუშაობთ, რომ მეტალოპროდუქციის ფასი მის ხარისხს შეესაბამებოდეს. იმისთვის, რომ სერტიფიცირებამ “არსელორმეტალის” პრესტიჟის გარანტირებულობას ხაზი გაუსვას”, - განაცხადა იგორ ტიხონოვმა. “მშენებლები ყოველთვის მზად არიან გადაუხადონ მეტალურგებს იმ პროდუქციისთვის, რომელიც მათ ნამდვილად სჭირდებათ.”

ხშირად საუბარია არა მაღალხარისხოვან არმატურის წარმოებაზე, არამედ მექანიკურად გამაგრებულ ფოლადზე. მაგრამ თუ ის პასუხობს მისი ხარისხით არა მოძველებულ, არამედ ახალ დოკუმენტაციას, ახლადამუშავებულ ნორმატიულ-ტექნიკურ საბუთებს, მისი განახლება აქტუალური ამოცანაა. ყველა ის აქტუალური საკითხი, რომელიც თბილისის კონფერენციასა და კრივოი როგში გამართულ პრეზენტაციაზე დაისვა, უკვე განხილვის სტადიაშია. ძალიან პერსპექტიულად მივიჩნევთ ზოგადად კავკასიის რეგიონს, განსაკუთრებით კი საქართველოს”, - აცხადებს ექსპორტის საკითხებში არსელორმეტალი კრივოი როგის” დირექტორი, შიდაეკონომიკური კავშირების უფროსი ანდრე კიტიცა. ის აღნიშნავს, შპს მუდმივად აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, შეიმუშავებს არმატურის წარმოების ახალ სახეობებს. ასევე დამატებით სერვისებს.

ახლის შემუშავება საშუალებას მოგვცემს, გაუმჯობესოთ სიმყარის მაჩვენებელი მონოლითურ და რკინაბეტონის კონსტრუქციებში. რაც შეეძლება გასაღვალს მშენებლობისას, შესაბამისად, გააიფაროს სამშენებლო პროექტებს. რაც შეეხება შპს “არსელორმეტალი კრივოი როგის” მუდმივ სწრაფვას საერთაშორისო ხარისხისადმი. ერთერთი უკანასკნელი მაგალითი: სანარმოო ჩაატარეს არმატურის წარმოების პროდუქციის ინსპექტირება-აუდიტი, ბრიტანული BS 4449-ის 1997-2005 წლების ვერსიის მიხედვით, რომელიც ბრიტანულ კომპანია CARES-თან თანამშრომლობის დროს შედგენილი კონტრაქტით იყო გათვალისწინებული. აუდიტორების მიერ მაქსიმალური შეუსაბამობის გამოვლენა არ მომხდარა, მეტიც, აღნიშნული იქნა გენერაციების სისტემის სრული შესაბამისობა ISO 9001:2008-თან.

“ყველაზე მეტად “ხარისხის ფილოსოფიამ” გამოავნა, რომელსაც ეს კომპანია ახორციელებს”, - განაცხადა კომპანია CARES-ის წამყვანმა აუდიტორმა მეთიუ პალმერმა, - “აქ მუდმივად აღწევნ უკეთეს ხარისხს და არ ჩერდებიან მიღწეულით. ხშირად შესაძლოა ძალიან პატარა ცვლილება ხდებოდეს ხარისხის გაუმჯობესებისთვის. მენეჯმენტის ხარისხის ანალიზმა, რომლის დროსაც წარმოების სტანდარტებსა და ტექნოლოგიურ ინსტრუქციებში ცვლილებებიც შემოწმდა, აჩვენა, რომ შპს “არსელორმეტალი კრივოი როგის” მართვის სისტემა მაღალ ეფექტურია”.

# “აფთაუნ თბილისი” - სადაც ყველაფერი ერთიანდება

ადგილი, სადაც ყველაფერი ერთიანდება და სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხარისხი, კომფორტი და ცხოვრების სტილის ახლებური ხედვა - „აფთაუნ თბილისი“.

„აფთაუნ თბილისი“ კომპანია „რაკინ დეველოპმენტის“ ინოვაციური პროექტია, რომელიც თბილისში შენდება. შენდება აქტიური ტემპით, მიუხედავად ყველა ხელისშემშლელი ფაქტორისა, რომლის შედეგადაც საქართველოში სამშენებლო ბაზრის განვითარება შეფერხდა.

„აფთაუნ თბილისი“ ახალი სიტყვაა ქალაქის არქიტექტურაში. ის გამოირჩევა თავისი მასშტაბით, არქიტექტურით, დიზაინითა და კონსტრუქციით.

პროექტი შექმნა არქიტექტურისა და დიზაინის საერთაშორისო კომპანიამ „კადიზ ინტერნეშნალ“ (Cadiz International), რომელმაც ამ სფეროში დაიმკვირდა განსაკუთრებული ადგილი თავისი დახვეწილი სტილითა და საქმისადმი ახლებური მიდგომით. „კადიზ ინტერნეშნალ“-ს შექმნილი აქვს ინოვაციური პროექტები 10-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, აღმოსავლეთ ევროპასა და აშშ-ში.

„კადიზ ინტერნეშნალი“ აფთაუნ თბილისის არქიტექტურული დიზაინის კონცეფციაში განსაკუთრებით ხაზს უსვამს თბილისის ლანდშაფტსა და არქიტექტურულ თვითმყოფადობას, მის განსაკუთრებულ როლს ამიერკავკასიაში, როგორც კულტურისა და ვაჭრობის ცენტრს, როგორც უნიკალურ სინთეზს ევროპული და აზიური ტრადიციებისა, და ამასთანავე მიმართულს სიახლეებისა და მაღალი დონის სტანდარტების დანერგვისაკენ.


„აფთაუნის“ ინტერიერის დიზაინი აგებულია „4 სეზონის“ კონცეფციაზე, რომელიც იდეალურად არის წარმოდგენილი საქართველოში: გაზაფხული - სიცოცხლითა და სიმწვანით სავსე, ზაფხული - გაჯერებული მზის ენერგიით, შემოდგომა - ფერთა გამის სილამაზითა და ბარაქით,



ზამთარი - ჩვეული სიმკაცრითა და კრისტალური სითვრით.

„აფთაუნ თბილისი“, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსი, შეიცავს სამ ძირითად სეგმენტს: სავაჭრო ცენტრს, საოფისე და საცხოვრებელ კომპლექსებს. ამ პროექტის მშენებლობაც 3 ეტაპად მიმდინარეობს. პირველი ეტაპი ითვალისწინებს აფთაუნის სავაჭრო, გასართობ და დასასვენებელ ცენტრს - „აფთაუნ თბილისის ცენტრს“, რომლის საერ-

თო ფართი 200 000 კვ. მეტრს. მეტი სიცხადისთვის შეიძლება აღინიშნოს, რომ მიწისქვეშა სადგომი გათვლილია 2500 მანქანაზე და დაყოფილია 30 სახანძრო სექციად. შენობა დაყოფილია 3 ბლოკად, რომლებიც ერთმანეთს ერწყმის მიწისქვეშა და მიწისზედა კავშირებით და ქმნის ერთიან კომპლექსს. შენობის ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს 4 დონიან ატრიუმს, გადახურულს 50 მეტრიანი გრანდიოზული ლითონის შემო-



ნული გუმბათით, რომლის თითოეულ კონსტრუქციას აქვს არქიტექტურული ელემენტების ფუნქცია.

აფთაუნის დაპროექტებისას გამოყენებულია თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტის ტექნოლოგიები. ნაგებობათა ერთობლიობა გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ელემენტებით. შენობა მთლიანად დაფუძნებულია დიდი მზიდუნარიანობის ფილაზე, რომლის მოწყობა განხორციელდა უწყვეტი ჩასხმის მეთოდით გრუნტის აგრესიული ნყლების პირობებში, რომელთანაც შეერწყმულია სპეციალური საკომუნიკაციო არხი. არხში შესაძლებელია მცირეგაბარიტიანი სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება, რაც ამარტივებს საინჟინრო ქსელების ექსპლუატაციას.

პროექტის მშენებლობას ახორციელებს „ინტერნეშნალ ქონსტრაქშენ ჰოლდინგი“ (International Construction Holding). მდიდარი გამოცდილების მქონე პროფესიონალთა გუნდი მუშაობს უახლესი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და ქმნის აფთაუნის უნიკალურ კონსტრუქციას, რომელიც თავისი მოცულობითა და სირთულით პირვე-

ლია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში.

გარდა არქიტექტურული და კონსტრუქციული უნიკალურობისა, აფთაუნის ძირითადი ღირებულება მაინც მის მრავალფუნქციურობაშია. „აფთაუნ თბილისის ცენტრი“ შესაძლებლობას მისცემს მომხმარებელს ისარგებლოს მაღალი დონის მომსახურებით, როგორც „შოპინგის“, ასევე გართობის, კვების, ფიტნესისა და დასვენების კუთხით.

„აფთაუნ თბილისის ცენტრი“ საინტერესო და მიმზიდველი იქნება, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვიზიტორებისთვის კომფორტული გარემოთი და მომსახურების ხელმისაწვდომობით, რადგან აქ აქცენტი კეთდება ყველა სეგმენტის მომხმარებელზე.

კომერციული ფართები უკვე იტვირთება ადგილობრივი და უცხოური ბიზნესების, სხვადასხვა სახისა და კატეგორიის ბრენდების წარმომადგენლობით.

„აფთაუნ თბილისის ცენტრი“ უკვე 2010 წლის ბოლოს უმასპინძლებს პირველ ვიზიტორებს და ვიმედოვნებთ, რომ ძალიან მოკლე დროში დაიმკვიდრებს სათანადო ადგილს თბილისის ცხოვრებაში.


## „გაერთიანებული ტელეკომის“ საახალწლო აქცია - ინტერნეტის უფასო ინსტალაცია ერთი თვის განმავლობაში

„გაერთიანებული ტელეკომი“ თბილისში ახალ, საახალწლო აქციას ატარებს. ერთი თვის განმავლობაში კომპანიის აბონენტები ინტერნეტში უფასოდ ჩაერთვებიან.

ის აბონენტი (ფიზიკური პირი), რომელიც 15 დეკემბერიდან 15 იანვრის ჩათვლით დარეგისტრირდება ცხელ ხაზზე 100-100 და დაიდგამს ინტერნეტს, ინსტალაციის საფასურს (20\$) არ გადაიხდის.

კომპანია 6 სხვადასხვა პაკეტით ემსახურება აბონენტებს 1მგბ/წ- 8მგბ/წ. ასევე თავაზობს ინდივიდუალურ პაკეტებს კორპორატიულ კლიენტებს.

„გაერთიანებული ტელეკომი“ ქვეყნის მასშტაბით 80 ათასზე მეტ ინტერნეტ აბონენტს ემსახურება.



თვალის მიკროქირურგიის

ჯავრიშვილის

კლინიკა

“ოფთალმიჯი”

ერთადერთი კლინიკა 8

მოქრავი საოპერაციო ბლოკით

სიასლე!

მნიშვნელოვანი

ფასდაკლება

კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

# ადვოკატთა ასოციაცია კვლავაც ხელმძღვანელობის ბარეზა

არჩევნებმა ხმაურით ჩაიარა

თავარ კაცობაში

გუშინ 1360-მა ადვოკატმა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 11 წევრს, ასოციაციის ეთიკის კომისიის 15 წევრსა და ასოციაციის სარევიზიო კომისიის 5 წევრს, ფარული კენჭისყრის პრინციპით, ხმა მისცა, მაგრამ კონკრეტულად ვინ გახდნენ ასოციაციის მნიშვნელოვანი რგოლების წევრები, ჯერჯერობით უცნობია. უცნობია თავმჯდომარის ვინაობაც. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ასოციაციის თავმჯდომარის თანამდებობაზე მეორე ტური დაინიშნა და ცოტა ხანში ერთმანეთს მხოლოდ ზაზა ხატიაშვილი და ქეთი ქვარცხავა დაუპირისპირდებიან.

ჯერ კიდევ ასოციაციის კრების გახსნამდე, ადვოკატთა ასოციაციის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ გოჩა სვანიძემ ინისასწარმეტყველა, რომ შესაძლებელი იყო თავმჯდომარის არჩევნებისთვის მეორე ტური დანიშნულიყო. მისი მოლოდინი გამართლდა. დასახელებული ექვსი კანდიდატიდან, კანონით სავალდებულო ამომრჩეველთა ხმათა ნახევარი ვერც

ერთმა მათგანმა ვერ მიიღო. კრების გახსნამდე თავმჯდომარეობისთვის იბრძოდნენ: ქეთი ქვარცხავა (მისი კანდიდატურა ასოციაციის თავმჯდომარეობაზე ამჟამინდელმა თავმჯდომარე გოჩა სვანიძემ დააყენა), ნუგზარ ბირკაია, მამუკა მდინარაძე, ლევან ჯოხაძე (სამივე ადვოკატთა საინიციატივო ჯგუფის კანდიდატი იყო), დავით ლანჩავა (არასამთავრობო ორგანიზაცია “საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის” წარმომადგენელი) და ზაზა ხატიაშვილი (ადვოკატთა პროფკავშირის კანდიდატი), კრების გახსნისთანავე, არჩევნების არაოპიეტურად ჩატარების მოტივით, ლევან ჯოხაძემ თავისი კანდიდატურა მოხსნა. საბოლოოდ, უთიო კანდიდატიდან ყველაზე მეტი ხმა ზაზა ხატიაშვილმა და ქეთი ქვარცხავამ მიიღეს. 1360 ამომრჩევიდან ასოციაციის თავმჯდომარედ ქეთი ქვარცხავა 558 ადვოკატმა ისურვა, 443-მა კი - ზაზა ხატიაშვილი. იმის გამო, რომ სავალდებულო 680 ხმა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა, ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნების მეორე ტურია დანიშნული. კონკრეტულად როდის ჩატარდება ხელახალი არჩევნები, ჯერჯერობით უცნობია. სავარაუდო რიცხვებად 27 დეკემბერი ან მომავალი წლის 15 იანვარი დასახელდა. “გუშინდელი არჩევნებით ადვო-

კატთა კორპუსმა დაამტკიცა, რომ ეს არის ძალიან ძლიერი კორპუსია. მიუხედავად ხელისუფლების მცდელობისა, ადვოკატები ემართა, მიზანს მაინც ვერ მიაღწია,” - განაცხადა ჩვენთან საუბარში თავმჯდომარეობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ზაზა ხატიაშვილმა. ხატიაშვილის მტკიცებით, კრების დაწყებამდე რეგისტრაცია 1184 ადვოკატმა გაიარა. მოგვიანებით, ეს რიცხვი 1360-მდე გაიზარდა, რაც კანონის დარღვევაა. “კენჭისყრის დაწყებამდე ჩემთან ადვოკატები მოვიდნენ და მოთხრეს, რომ ისინი სოღ-ის წარმომადგენლებმა იძულებით მიიყვანეს კრებაზე, რათა ხმა ჩემს წინააღმდეგ მიეცათ. ისინი ბოდიშს მიხდიდნენ, მაგრამ მეუბნებოდნენ, რომ იძულებული არიან სამართალდამცველების სურვილი შეასრულონ, რადგან ტელეფონები წართვეს და მათ წინააღმდეგ სხვა ზეწოლის ბერკეტებსაც იყენებდნენ,” - აცხადებს ზაზა ხატიაშვილი, თუმცა ვერ აკონკრეტებს, რომელი კანდიდატის სასარგებლოდ იყენებდა სოღ-ი ადვოკატებს. “ქეთი ქვარცხავა ჩემი მეგობარია და ძალიან კარგი პიროვნებაა. დარწმუნებული ვარ, მისთვის სოღ-ის განზრახვა უცნობია. ხელისუფლებისთვის მთავარი ბრძოლის ობიექტი მე ვიყავი, რადგან იცნან, რომ ბოლომდე ვიბრძო-

ლებ ადვოკატთა კორპუსის დამოუკიდებლობისთვის და ცალკეული ადვოკატის დისკრედიტაციის თუ ტერორის უფლებას არავის მივცემ. ამისათვის ევროკავშირამდეც ჩავალ,” - ამბობს ზაზა ხატიაშვილი. ხატიაშვილისგან განსხვავებით, ქეთი ქვარცხავა მიიჩნევს, რომ თავმჯდომარის არჩევნები სამართლიანად, ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარდა. “კანონდარღვევის კონკრეტული ფაქტი არ მინახავს. ამიტომ, რამის თქმა გამიჭირდება. არჩევნებთან დაკავშირებით მცირედი პრეტენზიები იყო, მაგრამ საბოლოოდ არჩევნების შედეგები და თვითონ პროცესი, არც ერთ კანდიდატს არ გაუპროტესტებია,” - ამბობს ქეთი ქვარცხავა, რომელიც ასევე ირწმუნება, რომ ასოციაციის თავმჯდომარეობის შემთხვევაში, ადვოკატთა ასოციაციის გასაძლიერებლად და თითოეული ადვოკატის ინტერესების დასაცავად იზრუნებს. ქეთი ქვარცხავას მსგავსად, ასოციაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელობაც დარწმუნებულია, რომ ჩატარებული არჩევნები ობიექტური და სამართლიანი იყო. ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნების მთავარი ციებ-ცხელება ჯერ კიდევ წინ არის. არანაკლებ საინტერესო და ხმაურიანი იქნება ასოციაციის შიდა პრობლემების მოგვარების პროცედურებიც.

როგორც ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი ქეთი ბექაური ამბობს, პირველ რიგში, მოსაწესრიგებელია ადვოკატთა ასოციაციის წესდება, სადაც არ არის გათვალისწინებული თავად ადვოკატის დაცვის გარანტიები. “ადვოკატი თუ ასოციაციის წესდებითაც კი ვერ დაიცავს თავს, როგორ უნდა განახორციელოს მან მოქალაქეების ინტერესების დაცვა? ადრე ადვოკატს იმუნიტეტი იცავდა. ადვოკატების დაკავება და დაპატიმრება ასე ხელალებით არ უნდა ხდებოდეს. სამართალდამცველებმა თანხმობა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოსგან უნდა აიღონ და ეს არ არის გათვლილი. უახლოეს მომავალში აღმასრულებელი საბჭო, ასოციაციის სხვა ორგანოებთან ერთად, იმუშავებს იმაზე, რომ საკანონმდებლო ინიციატივა მომზადდეს და “კანონში ადვოკატთა საქმიანობის შესახებ” ცვლილებები შევიდეს,” - აცხადებს ქეთი ბექაური. ბოლო პერიოდში ადვოკატები ასოციაციის ფინანსებითაც დაინტერესდნენ, რომელსაც, მათი აზრით, ძველი ხელმძღვანელობა - კახა ასლანიშვილის თავმჯდომარეობის დროს - არც თუ მიზნობრივად განკარგავდა. ამ მიზნით, თურმე, ასოციაციაში აუდიტი ტარდება, რომლის შედეგებით, შესაძლებელია, ფინანსური პოლიციაც დაინტერესდეს.

## „აღიანსელი“ გოგსაძე უარყოფს შსს-ს ინფორმაციას

“საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიტიკური გაერთიანების “აღიანსი საქართველოსთვის” წევრ ზაზა გოგსაძის საცხოვრებელ მისამართზე ძებნილი პირის, ადრე ნასამართლევი ფირუზ მაჩაიძის დაკავების ღონისძიება ჩაატარა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ვერც ერთი პოლიტიკოსის სახლი კანონდამრღვევი პირის თავშესაფარი ვერ გახდება და ვერც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი ვერ შეძლებს, დამნაშავეს მფარველობა გაუწიოს. ყველა კანონდამრღვევი პირის ქმედება აღკვეთილი იქნება პოლიციის მიერ,” - გუშინ ეს განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად გამოაქვეყნა. “ვინმე ფირუზ მაჩაიძეს პირადად არ ვიცნობ, თუმცა ასეთი პირი ალბათ არსებობს და იგი დაკავებულია კიდეც. ახლა უნდათ, ეს ყველაფერი ისე წარმოაჩინონ, თითქოს ჩემს სახლში ვინმემ დააკავეს,” - ასეთია ირაკლი ალასანიას თანაპარტიელის ზაზა გოგსაძის პასუხი შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე.

### ხათუნა ჭანჭირაშვილი

საუბარია 14 დეკემბერს მომხდარ ინციდენტზე, რომელიც 15 დეკემბერს “აღიანსი საქართველოსთვის” ლიდერმა ირაკლი ალასანიამ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გაახმაურა. ირაკლი ალასანიამ შინაგან საქმეთა მინისტრს თანაპარტიელის ბინაში შეჭრის ფაქტის სასწრაფო გამოძიება მოს-

თხოვა და მომხდარი ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციურ პარტიებზე პოლიტიკური ზეწოლის გაგრძელებად შეაფასა.

“ჩვენ შსს-ს მივმართეთ, მაგრამ მათგან სათანადო რეაგირება ჯერ კიდევ არ მომხდარა. მივმართავ შს მინისტრს, დროულად გამოიძიოს ფაქტი, რომელიც მეტყველებს, რომ პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაშინება ქვეყანაში ფართო მასშტაბებს იღებს,” - განაცხადა მაშინ ირაკლი ალა-

სანიამ. საგანგებო ბრიფინგზე თავად ზაზა გოგსაძემ თქვა, რომ წინა დღეს, საღამოს საათებში, მის სახლში, შეიარაღებული პირები შეიჭრნენ, რომლებმაც განუცხადეს, რომ პოლიციელები იყვნენ და სპეცოპერაციას ატარებდნენ.

“ვიმყოფებოდი მამაჩემის სახლში. მამა ერთი საათის გამოყვანილი მყავდა საავადმყოფოდან. სახლში ოჯახის წევრების გარდა, სხვა ახლობლებიც იმყოფებოდნენ. კარზე გაისმა ბრახუნი, შემოვარდნენ, დედაჩემი გვერდზე განიეს, ჩემს მეგობარს, რომელიც მამაჩემის სახლში ამოყვანაში მეხმარებოდა, იარაღი დაადეს. ყველა ოთახი მოიარეს, ყველა კარადაში შეიხედეს და რამდენიმე წუთში ისე დატოვეს იქაურობა, რატომ და რისთვის ტარდებოდა ჩემს სახლში სპეცოპერაცია, არავის არაფერი უთქვამს,” - განაცხადა სპეციალურ ბრიფინგზე ზაზა გოგსაძემ. რა სპეცოპერაცია ჩატარდა გოგსაძეების საცხოვრებელ სახლში, ვის ან რას ეძებდნენ იქ შესული პოლიციელები, შინაგან საქმეთა სამინისტროს,

ამასთან დაკავშირებით, ერთი კვირის განმავლობაში არანაირი ინფორმაცია არ გაუფრცელებია და არც “აღიანსი საქართველოსთვის” ლიდერის მიერ გამართულ საგანგებო ბრიფინგის საპასუხოდ გაუკეთებია რაიმე კომენტარი. მომხდარზე შსს-მ გუშინ გამოაქვეყნა ოფიციალური ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, გოგსაძის საცხოვრებელ სახლში სამართალდამცველები ძებნილის დაკავების მიზნით შევიდნენ.

“არსებობდა ინფორმაცია, რომ წარსულში ნასამართლევი, ფირუზ მაჩაიძე, რომელიც წარკოტიკების უკანონო მოხმარებისთვის იძებნებოდა, გოგსაძეების სახლში იმალებოდა. მითითებულ მისამართზე სპეცოპერაცია სწორედ ამიტომ ჩატარდა და დაკავებული ძენილი დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს,” - განაცხადა “24 საათთან” საუბრისას შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა შოთა ხიზანიშვილმა.

ზაზა გოგსაძის განმარტებით, 14 დეკემბერს, როცა მის სახლში შეიარა-

ღებული პირები შეიჭრნენ, მისთვის არავის უთქვამს, რომ ძებნილის დაკავებას ცდილობდნენ.

“ჩემთვის ვინმეს რომ აეხსნა, წარკოდანაშავეს ეძებდნენ, თავად გავუწვედი დახმარებას ისე, როგორც შევძლებდი. ფირუზ მაჩაიძეს ნამდვილად არ ვიცნობ და არც არავინ დაუკავებიათ ჩემს სახლში. თანაც, საქმე იმაშია, რომ პოლიციამ რამდენჯერმე დაუკითხა და ჩემთან ფირუზ მაჩაიძე ერთხელაც არ უხსენებია ვინმეს. ისიც კი არ უკითხავთ, ვინცაა თუ არა ასეთ პიროვნებას. აუცილებლად გავარკვევთ, ვინ შემოიჭრა თქვენს სახლში, ისინი პოლიციელები არ იქნებოდნენ, პოლიცია ასე არ იქცევო, - მოუხსენებდნენ დაკითხვისას. ერთი კვირაა ამ საქმეს იძიებენ, თუკი დამნაშავე დაჭერილი ჰყავთ, თუკი ეს ოპერაცია პოლიციამ ჩაატარა, მაშინ რაღას იძიებენ. მესმის, რომ შევეშალოს და ვილატას შეცდომით შეუვარდეს სახლში, მაგრამ მერე ტყუილი არ უნდა თქვა,” - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ზაზა გოგსაძემ.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალებების (სხვადასხვა სახის ავტოსათადარიგო ნაწილების მომარაგება-მომსახურება) რემონტის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

1) დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი (200) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

გიუჯატის შამოსულოვაის ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო სახელმწიფო ხაზინა ანგ. N200122900, განკის კოდი N220101222, სახაზინო კოდი N302006600.

გადასახადის დაინიშნულება - საჰარტოველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, ჭითანყარი, რის შემდგომაც გადმოგცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია 2009 წლის 22 დეკემბრიდან 2010 წლის 12 იანვრის 12:00 საათამდე.

2) ლოტი 1 - ტოიოტა “პაილუქსი” - 23 ერთეული ტოიოტა “პრადო” - 2 ერთეული ტოიოტა “კამრი” - 1 ერთეული ჰიუნდაი “ტუქსონი - 1 ერთეული მიცუბიში “გრანდ ვიტარა” - 1 ერთეული ნისან “ნაგარა” - 3 ერთეული ლოტი 2 - მერსედესი - 3 ერთეული მიცუბიში “ლანსერი” - 4 ერთეული

ფოლცვაგენ “პასატი” - 3 ერთეული ფოლცვაგენ “ჯეტა” - 7 ერთეული შკოდა - 9 ერთეული ბმვ 525 - 2 ერთეული ვაზ 2106 - 2 ერთეული ვაზ 21214 - 23 ერთეული უაზ 31514 - 25 ერთეული ვაზ 2107 - 1 ერთეული ჯიბი “ლენდ როვერი” - 2 ერთეული სეატ “კორდობა” - 1 ერთეული კატარლა “კაბრიო” - 2 ერთეული

3) მომსახურების განვების ვადა და ადგილი - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მომსახურეობის პირობები იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.

4) პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ორ გზემშლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2010 წლის 12 იანვრის 10.00 საათიდან 12.00 საათამდე. ზუგდიდი. სოფ. ჭითანყარი.

5) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა შესაბამისი უწყებიდან რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

6) ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუ-

მენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

7) პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ განიხილება და გაუხსნელად უბრუნდებათ პრეტენდენტებს.

8) ტენდერის შედეგად ლოტი 1 -ში შეიძლება გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული. ლოტი 2 -შიც მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

9) ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება.

10) ტენდერი ჩატარდება 2010 წლის 12 იანვრის 12.00 საათზე. მისამართზე: ზუგდიდი. სოფ. ჭითანყარი. შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში.

11) პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-1 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

12) ტენდერში სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი არ გამოიყენება.

13) დაფინანსების წყარო: 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

14) დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბადრი ქვარაია, ტელ. 877 52 69 52

სატენდერო კომისია უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# მსოფლიო თოვლმა დაფარა

პირველი გვერდი

როდის მოხერხდება დიდი ბრიტანეთისა და კონტინენტური ევროპის დამაკავშირებელ გვირაბში მოძრაობის აღდგენა, ჯერჯერობით უცნობია.

იმის გამო, რომ საფრანგეთს განმეორებით დაატყდა თავს თოვლიანი ქარბუქები, პარიზის აეროპორტებში რეისების 40 პროცენტზე მეტი გაუქმდა.

დაიკეტა გერმანიის სიდიდით მესამე დიუსელდორფის აეროპორტი და ბელგიის სამი ყველაზე დიდი აეროპორტიც. თითქმის იგივე ვითარებაა ამსტერდამსა და მანჩესტერშიც.

დიდმა თოვლმა ევროპაზე არანაკლებად დააზარალა ამერიკაც, სადაც თითქმის 60 სმ-მდე ნალექი მოვიდა. ეს ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ასეთმა დიდთოვლობამ ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მეოთხედი დააზარალა. ნიუ-იორკში მინა თოვლის 30-სანტიმეტრიანმა ფენამ დაფარა.

თოვლიანმა შტორმმა, რომლის არეალი თითქმის 800 კილომეტრია, ათზე მეტ შტატს გადაუარა. ის ახლა ჩრდილოეთისკენ მიემართება. ბოლო მონაცემებით, სტიქიურმა უბედურებამ, სულ მცირე, 5 ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო ათასობით ადამიანი ელექტროენერგიის გარეშე დატოვა. მთელ რიგ შტატებში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

თუმცა გამანადგურებელი სტიქიის შემდეგ ამერიკა ნელ-ნელა იწყებს მდგომარეობიდან გამოსვ-



გადადებული რეისების გამო აეროპორტები მგზავრებს ვეღარ იძევს

ლას. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში ქარბუქის შედეგების ლიკვიდაცია დაიწყო.

იმის გამო, რომ თოვლის საფარი

ქუჩებში გადაადგილებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის, ვაშინგტონში ხელისუფლების ორგანოებმაც კი შეწყვიტეს მუშაობა. დედაქ-

ლაში თოვლის საფარმა 40 სმ შეადგინა, რაც დეკემბრისთვის რეკორდული მაჩვენებელია. თუმცა ქალაქის მერს იმედი ჰქონდა, რომ

სამუშაო კვირის დაწყებამდე ქუჩების გასუფთავება მოხერხდებოდა.

დიდთოვლობამ ბარაკ ობამას გეგმებიც კი შეცვალა, რომელიც კლიმატური სამიტიდან სახლში ბრუნდებოდა. ქვეყნის პრეზიდენტს, რომელიც თეთრ სახლში დასაბრუნებლად ჩვეულებრივ ვერტმფრენს იყენებს, ამჯერად ჯიპით მოუხდა სარგებლობა.

ნიუ-იორკის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა განაცხადა, რომ ქალაქის ქუჩების განმენდამი რამდენიმე ათასი ადამიანი მონაწილეობს. მისი განცხადებით, თოვლმა საშობაო სამზადისს ხელი ვერ შეუშალა. "იმედი მაქვს, რომ ამ წელს ნამდვილი თოვლიანი შობა გვექნება," - განაცხადა მან.

თოვლის მოვლა ტურისტებსაც უხარიათ, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეს საახალწლო განწყობას ქმნის.

თუმცა ყველა არ ფიქრობს ასე. დიდთოვლობის მიზეზით თითქმის 150 ადამიანმა მატარებელში 5 საათი გაატარა. ნიუ-იორკის აეროპორტებში რამდენიმე ასეული რეისი გადაიდო და საჰაერო მიმოსვლა დღემდე არ განახლებულა. დროებით დაიხურა ვაშინგტონის, ბალტიმორისა და ბოსტონის აეროპორტებიც.

ვირჯინიაში, ტენესიში, კენტუკისა და ჩრდილოეთ კაროლინაში ასობით სახლს არ მიენოდება ელექტროენერგია.

შტატებისა და ქალაქების ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობას სახლებში დარჩენას ურჩევენ.

## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

დაფინანსების წყარო – 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი  
შესყიდვის ობიექტი – საწვავი

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს საწვავის შესყიდვაზე 4 ლოტად:  
**შესყიდვის ობიექტი:**

| ლოტი № | საქონლის დასახელება   | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|--------|-----------------------|----------------------|-----------|
| 1      | საწვავი „რეგულარი“    | ლიტრი                | 669270    |
| 2      | საწვავი „არემიუმი“    | ლიტრი                | 1138220   |
| 3      | საწვავი „პერო დიზელი“ | ლიტრი                | 350840    |
| 4      | საწვავი „დიზელი ლ-62“ | ლიტრი                | 275500    |

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. საქონლის მიწოდება სასურველია განხორციელდეს ეტაპობრივად ტალონების და პლასტიკური ბარათების (ასევე მათ გარეშე) მეშვეობით, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი რაოდენობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე. პირველი მიწოდება სასურველია განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში 2010 წლის 12 იანვარს 09:00 საათიდან 14:00 საათამდე მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 **იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ორგანიზაციის, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

5.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3 **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

ბ) ცნობა საგადასახადო ორგანიზაციის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

6. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).

7. სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

| № | შეფასების კრიტერიუმი             | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|----------------------------------|-------------------------------|
| 1 | სატენდერო წინადადების ღირებულება | 0,45                          |

|      |                                    |      |
|------|------------------------------------|------|
| 2    | საქონლის ხარისხი                   | 0,35 |
| 3    | ავტოგასამართი სადგურების რაოდენობა | 0,20 |
| სულ: |                                    | 1,00 |

8. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 და მე-6 პუნქტებში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, თუ რომელიმე მათგანი ცალბედი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-7 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

9. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-5 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.

10. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან მეტი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულებას გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

11. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-5 და მე-6 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.

12. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლება (მე-16 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 22 დეკემბრის 09:00 საათიდან 2010 წლის 11 იანვრის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული ოთახი №8-9, სატენდერო კომისიის აპარატში.

13. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

14. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება 2010 წლის 12 იანვარს 14:00 საათზე.

15. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

16. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი - 150 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში  
ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000  
გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, საწვავი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

17. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ საფასური 50 ლარის ოდენობით.

18. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9; ტელეფონი: (+99532) 261-337, 261-335; საკონტაქტო პირები: ალექსანდრე თევდორაძე, ირაკლი თადიაშვილი, ელ-ფოსტა: [a.tevdoradze@mof.ge](mailto:a.tevdoradze@mof.ge), [i.tadiashvili@mof.ge](mailto:i.tadiashvili@mof.ge).

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ პრეტენდენტის რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური სტრუქტურებიდან, ამასთანავე ორიგინალ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

## აშშ სენატი ობამას ჯანდაცვის რეფორმას დაუმტკიცებს

ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ჯანდაცვის სისტემის რეფორმირებისთვის საჭირო კანონპროექტების პაკეტის დასამტკიცებლად კონგრესის ზედა პალატაში სენატორების უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვება მოახერხა. კონსერვატიულად განწყობილი "დემოკრატი" სენატორი ბენ ნელსონი დათანხმდა კანონპროექტისთვის ხმის მიცემაზე. სანაცვლოდ მისი მოთხოვნით აიკრძალა აბორტების ფედერალური დაფინანსება და მისი მშობლიური შტატი ნებრასკა ბიუჯეტიდან დამატებით დაფინანსებას მიიღებს. ამ კანონის დამტკიცებას "დემოკრატები" შობამდე აპირებენ. ეს რეფორმა მილიონობით ამერიკელს, რომელსაც დაზღვევა დღემდე არა აქვს, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის საშუალებას მისცემს, ოღონდ კანონპროექტიდან ამოღებულია (ნეიტრალური კანონმდებლების მოთხოვნით) მუხლები ჯანდაცვის სახელმწიფო სამსახურის შემოღების შესახებ.

## "იაბლოკო" დანარჩენ ოპოზიციას გაემიჯნა

მოსკოვში გაიმართა პარტია "იაბლოკოს" ყრილობა, რომელზეც პარტიის ახალი სტრატეგია დაისახა ადგილობრივ არჩევნებზე მარცხის შემდეგ. ყრილობამ თავისი გადაწყვეტილებით პარტიის წევრებს აუკრძალა სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრობა, რომლებსაც პოლიტიკური მიზნები აქვთ. ცხადია, პირველ რიგში, ეს ეხებათ კასპაროვის გაერთიანებულ სამოქალაქო ფრონტს, ნემცოვის "სოლიდარობას", ოპოზიციურ კოალიცია "სხვა რუსეთს", აგრეთვე სხვა მემარჯვენე მიმართულების პოლიტიკურ ძალებს, თორემ "იაბლოკოს" წევრი რომ "ერთიან რუსეთთან" ან "კომპარტიასთან" არ ითანამშრომლებს, ეს ისედაც ცხადია. საბოლოოდ გააგდეს პარტიიდან ილია იაშინი - რადიკალური ფრთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი, რომელიც ადრე ახალგაზრდულ სექციას ხელმძღვანელობდა. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ იაშინი მოძრაობა "სოლიდარობის" ხელმძღვანელობის წევრიც არის. ადრე იგი მოსკოვის განყოფილებამ გარიცხა პარტიიდან, მან პარტიულ არბიტრაჟში იჩიულა და თავი აღიდგინა, ყრილობამ კი ხმათა უმრავლესობით საბოლოოდ გარიცხა. ამ გადაწყვეტილებას თვით გრიგორი იავლინსკი ლობირებდა. სხვათა შორის, ყრილობაზე მთავარი მოსენებით წარდგა არა პარტიის ოფიციალური ლიდერი სერგეი მიტროხინი, არამედ მისი დამფუძნებელი გრიგორი იავლინსკი, რომელიც ფორმალურად 2008 წელს გადადგა. მიმომხილველების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს პარტიის ხელმძღვანელობაში იავლინსკის დაბრუნებაზე მიანიშნებს - ფორმალურად თუ არა, ფაქტობრივად მაინც. ყრილობაზევე განიხილეს პარტიის საზოგადოებრივ ორგანიზაციად გარდაქმნის გეგმაც, მაგრამ ის ამ ეტაპზე ნაადრევად მიიჩნეის.

## ოსვენციმის ჭიშკრის ფრაგმენტი იპოვეს

პოლონეთის პოლიციამ აღმოაჩინა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის, რომელიც დღეს მუზეუმი, ჭიშკრის ფრაგმენტი, რომელიც პარასკევის ღამით მოიპარეს. დაკარგული იყო ცნობილი წარწერა "მუშაობა თქვენ თავისუფლებას მოგანიჭებთ" (Arbeit Macht Frei), რომელიც თავის დროზე თვითონ ბანაკის პატიმრებს გამოაჭედინეს. ფაშისტები ამ ცინიკური წარწერით ხვდებოდნენ საკონცენტრაციო ბანაკში შეყვანილ პატიმრებს. ომის წლებში ოსვენციმში მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა, მათი უმრავლესობა ებრაელი იყო.

პოლონეთის სამხრეთში მოპარული წარწერა, სამ ნაწილად გახერხილი, ქვეყნის ჩრდილოეთში იპოვეს. დაკავებულია 5 ექვმიტანილი, რომელთა ასაკიც 25-დან 35 წლამდეა. ამ ფაქტმა ისრაელის, ასევე პოლონელი პოლიტიკოსების აღშფოთება გამოიწვია. ქურობის მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

## ტაილანდში დაკავებულ თვითმფრინავს იარაღი ირანში მიჰქონდა

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ტაილანდში დაკავებულ თვითმფრინავს, "ილ-76"-ს, რომელსაც ბელარუსულ-ყაზახური ეკიპაჟი მართავდა, იარაღი ჩრდილოეთ კორეიდან ირანში მიჰქონდა, თუმცა იარაღის ნაწილი შრი-ლანკაში უნდა ჩამოეტივრათ. როგორც გაირკვა, ეს თვითმფრინავი საქართველოს ავიაკომპანია "აირ ვესტ გეორგიას" ეკუთვნის, მაგრამ რამდენიმე საფეხურიანი იჯარით არის გაცემული გაურკვეველი ქვეყნის ფირმისთვის. ზოგიერთი ცნობით, იარაღის ამ პარტიას მართავდა სერბი იარაღით მოვაჭრე ტომისლავ დემიანოვიჩი, ადრე კი ამ თვითმფრინავს რუსი იარაღით მოვაჭრე, ასევე ტაილანდის ციხეში მყოფი ვიქტორ ბუტი აკონტროლებდა. ბუტი ამ საქმესთან კავშირს უარყოფს. აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება "უოლ სტრიტ ჯორნელში" ამერიკელ ექსპერტებსა და ბელგიურ საინფორმაციო ცენტრ "იპის"-ზე (IPIS) დაყრდნობით.

მოამზადა ივა შილაკაძე

# ირანში დისიდენტი აიათოლა დაკრძალეს

მარიკა იაშვილი

ირანის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ რელიგიურ მოღვაწესთან გამოსამშვიდობებლად ქალაქ კუმის ქუჩებში უამრავი ადამიანი შეიკრიბა. აიათოლა ჰოსეინ ალი მონტაზერი 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, დაკრძალვაში მონაწილეობისთვის ქალაქში ათობით ათასი ადამიანი ჩავიდა. მონტაზერის სახლთან, რომელიც თეირანიდან 125 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, ხალხმა ჯერ კიდევ კვირას დაიწყო მისვლა.

თუმცა ამასთანავე არსებობს ინფორმაცია, რომ ირანული ოპოზიციის წევრები თეირანის სხვადასხვა მოედანზე იკრიბებიან, რაც ადგილობრივ ხელისუფლებას დესტაბილიზაციის გაძლიერების შიშს უჩენს.

ჰოსეინ ალი მონტაზერი ირანის 1979 წლის რევოლუციის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო. 30 წლის წინათ მომხდარმა რევოლუციამ, რომელშიც უდიდესი წვლილი სწორედ მონტაზერის მიუძღვის, ქვეყნის ისლამისტურ რესპუბლიკად გარდაქმნა გამოიწვია. ირანის შესაძლო ლიდერად მონტაზერიც მოიაზრებოდა.

მონტაზერი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი შიიტი სასულიერო პირი იყო, რომელიც ქვეყნის ამჟამინდელ სულიერ ლიდერ აიათოლა ალი ჰამენეისა და პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჟადს ხშირად აკრიტიკებდა.

მონტაზერი სწორედ იმ დროს გარდაიცვალა, როდესაც ირანში ხელისუფლებასა და



ოპოზიციას შორის ურთიერთობა კიდევ ერთხელ გამწვავდა. ოფიციალური თეირანი შიშობდა, რომ ოპოზიცია დაკრძალვის ცერემონიალის დროს ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ეცდებოდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ათასობით ადამიანი სამგლოვიარო ღონისძიებებზე შეიკრიბებოდა. მონტაზერის დაკრძალვა შიიტური დღესასწაულის - წინასწარმეტყველთა ხსენების დღის (27 დეკემბერი) წინა პერიოდს დაემთხვა.

ირანის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, მონტაზერი თავის სახლში გარდაიცვალა. ინფორმაციის გაზრცელებისას არ დაასახელეს მისი სასულიერო ხარისხი. ხელისუფლებამ გაზეთებს აუკრძალა გაზეთების პირველ გვერდებზე მონტაზერის სურათისა და ნეკროლოგების დაბეჭდვა. ოპოზიციის ლიდერებმა მუხსავიმ და კარუბიმ 21 დეკემბერი სახალხო გლოვის

დღედ გამოაცხადეს.

ჰოსეინ ალი მონტაზერი ცნობილი იყო, როგორც ისლამისტური რესპუბლიკის დამაარსებელ აიათოლა ჰომეინის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი. სწორედ ის იყო მონარქიის დამხობის მოთხოვნით გამართული აქციების ორგანიზატორი, არაერთხელ იჯდა ციხეში და რამდენჯერმე გახდა ნაშვების მსხვერპლი.

გარკვეული დროის განმავლობაში სწორედ მონტაზერი სახელდებოდა ჰომეინის სავარაუდო მემკვიდრედ. დისიდენტად ის მას შემდეგ გამოაცხადეს, რაც ისლამისტური რევოლუციის შეცდომების აღიარების მონოდეტებით გამოვიდა. მონტაზერი აცხადებდა, რომ ქვეყნის ლიდერები აპირებდნენ რევოლუციის შედეგები დიქტატურის დასამყარებლად გამოეყენებინათ, ხოლო საზოგადოების ლიბერალიზაცია, რაც რევოლუციის მიზანი იყო, არ განხორციელებულა.

# დსთ-ს პრეზიდენტების არაფორმალური სამიტი

მარიკა იაშვილი

ალმა-ატას მახლობლად მდებარე ალ-ბულაქის მაღალმთიან კომპლექსში ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის ინიციატივით დსთ-ს წევრი 7 ქვეყნის ლიდერები ორდღიანი სამიტზე შეიკრიბნენ. ღონიძიებაში, მასპინძლის გარდა, რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი, ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო, ტაჯიკეთის პრეზიდენტი ემომალი რაზმოი, ყირგიზეთის პრეზიდენტი ყურმანბეკ ბაკიევი, სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი და თურქმენეთის პრეზიდენტი გურბანგული ბერდიმუჰამედოვი მონაწილეობდნენ.

ყაზახეთის ლიდერის განცხადებით, მსგავსი არაოფიციალური შეხვედრების გამართვა კარგი ტრადიციაა და ამ სამიტებზე არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიღებულია.

ნაზარბაევის განცხადებით, ბოლო პერიოდში მსოფლიოში არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა და 2010 წლისთვის უკვე ბევრი გეგმა არსებობს, შესაბამისად კარგი იქნება, თუ დსთ-ს წევრები თავიანთთვის აქტუალურ საკითხებზე ერთად იმსჯელებენ.



ალმა-ატას სამიტზე ლიდერებმა რეგიონულ უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე იმსჯელეს. ასევე საუბარი შეეხო საბაჟო კავშირის ჩამოყალიბებასაც. მხარეებმა ყაზახეთის მიერ ეუთო-ს მომავალი თავმჯდომარეობაც განიხილეს.

ლიდერები შეხვედრას დადებითად აფასებენ. "არაფორმალურ შეხვედრებზე სრულიად განსხვავებული საკითხები განიხილება, ლიდ და ყოველგვარი ზედმეტი პროტოკოლური შეზღუდვის გარეშე", - განაცხადა დმიტრი მედვედევმა. მედვედევმა იმ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებთანაც ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს უხდებათ შეჯახება. მათ შო-

რის ტერორიზმზე, ნარკოტრაფიკსა და ორგანიზებულ დანაშაულზე. რუსეთის პრეზიდენტმა ამ პრობლემების მოსაგვარებლად გასატარებელ ღონისძიებებზეც ისაუბრა.

მხარეებმა ერთიანი საბაჟო სივცის შექმნის იდეა დადებითად შეაფასეს და რიგი ეკონომიკური ინიციატივებით გამოვიდნენ.

ლიდერების გამოსვლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპული და რეგიონული უსაფრთხოების საკითხებს. პრეზიდენტებმა ასევე წამოაყენეს ინიციატივა, შემუშავდეს განიარაღების პრობლემის დასარეგულირებელი მექანიზმები, რომლებსაც ყველა ქვეყანა დაიცავს.

სწორედ ასეთი პოზიცია გახდა 1997 წელს მონტაზერისთვის 5-წლიანი შინაპატიმრობის მისჯის მიზეზი. მონტაზერის სახელი ამოიღეს სასკოლო სახელმძღვანელოებიდან, ხოლო მისი სახელობის ქუჩებს სახელები შეუცვალეს.

ბოლო წლების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ასაკოვანი იყო და ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, ჰოსეინ ალი მონტაზერი პრეზიდენტ აჰმადინეჟადის აქტიურ ოპოზიციში იყო და ბოლო არჩევნების შედეგების გადახედვას მოითხოვდა.

თავის გამოსვლებში აიათოლა მონტაზერი აღნიშნავდა, რომ მისი შეხედულებები "რელიგიური ვალის შეგრძნებით" იყო ნაკარნახევი.

ხელისუფლების შიში ნაწილობრივ გამართლდა. წმინდა ქალაქ კუმში მგლოვიარე დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკებები მოხდა. სამგლოვიარო დემონსტრაციას ოპოზიციის ლიდერები, ყოფილი საპრეზიდენტო კანდიდატები მირ-ჰოსეინ მუსავი და მეხდი კარუბი ხელმძღვანელობდნენ. ხალხი სკანდირებდა ლოზუნგებს: "დიქტატორო მონტაზერის საქმე გაგრძელდება" და "მონტაზერი არ მომკვდარა - მთავრობა გარდაიცვალა."

მთავრობა მედიას ხელს უშლის აიათოლას დაკრძალვის გაშუქებაში. რეპორტიორებს ქალაქ კუმში არ უშვებენ, ძალიან ნელა მუშაობს ინტერნეტი, "ბი-ბი-სის" სიგნალს კი ახშობენ. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საპროტესტო აქციები და პოლიციასთან შეტაკებები უახლოეს დღეებში გაგრძელდება.

# რევიუ

## პატარა "გალა" "დიდი" გამოფენით

თბილისში ახალი გალერეა გაიხსნა

### სოფო კილასონია

გუშინ საღამოს არაერთი თანამედროვე ქართველი მხატვარი და მათი ხელოვნების თაყვანისმცემელი საინტერესო ვერნისაჟს დაესწრო, - ქართველი მხატვრობის რეტროსპექტიულ ექსპოზიციას, რომელიც ახალ გალერეა "გალაში" გაიხსნა. დიდი თავყრილობა სწორედ ამ ახალი გალერეის დაბადების აღსანიშნავად შედგა. შესაძლოა, ქალაქში კიდევ იყო სადმე საინტერესო ექსპოზიციის პრეზენტაცია, თუმცა ერთი საღამოსთვის აღნიშნული გამოფენამაც, ანუ ლამის მთელი ქართული მხატვრობის მიმომხილველი ექსპოზიციაც საკმარისი გამოდგა.

მისამართი შემდეგია: ათონელის 27, თუმცა ჩემსავით თქვენც ათონელის ქუჩაზე რომ არ ეძებოთ, გეტყვით, რომ რატომღაც მხოლოდ 27 ნომერი ამ ქუჩაზე არ არსებობს და ის ცალკე, პირდაპირ სანაპირო ზოლში უცდის სტუმრებს.

გალერეა "გალა" კერძო პირებს, დუდიკა ბუღიას და ხათუნა მელიქიშვილს ეკუთვნით. როგორც მითხრეს, მათ არტილერობის გამოცდილება აქვთ და ამ კუთხით მუშაობის გაგრძელებას აპირებენ. ხელოვნებათმცოდნე ხათუნა მელიქიშვილი ცნობილ "N გალერეაში" 7 წლის განმავლობაში მუშაობდა. გალერეისთვის საქმიანობას, მცირედი პაუზის შემდეგ, უკვე "გალაში" გააგრძელებს.

სადებიუტო გამოფენა მრავლისმომცველი გახლდათ - ქართული მოდერნიზმიდან თანამედროვეობამდე. ქართული მოდერნიზმის პიონერები როგორც ფერწერაში, ისე სცენოგრაფიაში. ფერწერაც და გრაფიკაც. დიდი ზომის ტილოები და მცირე ჩანახატები... 80-იანელები და აქეთ, ბოლომდე, ანუ დღემდე. ქართული სოცრეალიზმი არ ჩანდა თითქოს, სხვა დანარჩენს თვალსა ნამდვილად შეავლებდით, უფრო სწორად, ნახნაგოვან, არასტანდარტულ სივრცეში თვალს კი ვერ შეავლებთ, არამედ აღმოჩენით. ის რაც უკვე ისტორიაა კერძო ლოკეციებიდან გახლდათ "გალაში" გამოფენილი: ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, შალვა ქიქოძე, სერგო ქობულაძე, პეტრე ოცხელი, ირაკლი გამრეკელი,

კირილე ზდანევიჩი და სხვა. ის რაც თანამედროვეა, მათ თავად გალერეაში მოსული ავტორები ლობივებდნენ და გახსნაზე დასწრებით საკმაო ხიბლი და ინტერესი შესძინეს სივრცეს. გალერეაშია მამუკა ცეცხლაძის, ოლეგ ტიმჩენკოს, ლევან ჭოლოშვილის, გია ბულაძის, ვახტანგ ბულაძის, ედმუნდ კალანდაძის, გოგი ჩაგელიშვილის, ზურაბ ნიჟარაძის და სხვათა ნამუშევრები... გამოფენაზე დიდი ადგილი უჭირავს ირაკლი ფარჯიანის და მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრებს. საინტერესოა ალბერტ დილბარიანისა და გაიანე ხაჩატურიანის ნაწარმოებების აღმოჩენაც. საკამათოა მხოლოდ თუ რამდენად ბუნებრივად და ორგანულად ერწყმის ყველა ეს მხატვარი, უფრო მხატვრული სტილი, ხედვა და მხატვრული ენა ერთმანეთს. დისონანსური ხმები ექსპოზიციიდან აქტიურად გაისმის, მით უფრო რომ ახალ, მაგრამ არც თუ დიდ სივრცეს უჭირს ამ "ინფორმაციის" დატევა, დამთვალეიერებელს კი უჭირს ორ ფრიზად და ვინაოდ დაკიდული სხვადასხვა მასალის, ჟანრისა და იდეის მხატვრული ნაწარმოების აღქმა.

"გალაში" ძალიან ბევრი საინტერესო ექსპონატია, მაგრამ არ არის ხაზი და ტანედენცია, რომლის წარმოჩენასაც ამ ექსპოზიციის მაგალითზე გახდებოდა შესაძლებელი. როგორც აღმოვაჩინე, ამდაგვარი მისია არც გამოფენის ორგანიზატორებს ჰქონიათ. პირველი ვერნისაჟისთვის უბრალოდ გული არავის ატკინეს და საზეიმო განწყობის უტრირებაც სწორედ ამ მრავალფეროვნებით მოახდინეს. შესაძლოა ამ ჩანაფიქრმა დამთვალეიერებლის დიდ ნაწილისთვის კიდევ გაამართლა. ვერაფერს გამოვრიცხავთ, თუმცა ამ გამოფენაზე ნამდვილად რთულია თვალი გავაღვევით **თანამედროვე ქართული მხატვრობის განვითარებას, დაწყებული XX საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე დღემდე**, რაც გამოფენის კონცეფციად მოიაზრებოდა. მსგავსი მასშტაბური კონცეფციები ამ სტილისა და ზომის გალერეისთვის რთული განსახორციელებელი არის და იქნება სამომავლოდაც.

■ ■ ■

ბოლო 2-3 წელიწადში თბილისში ერთი უცნაური ტენდენცია შეინიშნე-



ბა. აქამდე აღიარებული და საკმაოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკის მქონე გალერეები დაიხურა და მათ ჩაენაცვლა აქა-იქ სოკოებივით ამოზრდილი პატარა გალერეა-სალონები, რომელთა მფლობელებსაც თანამედროვე სახელოვნებო პროცესებში წვლილის შეტანის დიდი სურვილი და ამბიცია არ ამოძრავებთ და მათი მიზნები მხატვრობის გამოფენა-გაყიდვით შემოიფარგლება. მისია ალბათ ბევრად მარტივი და ბევრად სარგებია. პრინციპში, ეს გასაგებიცაა და მისაღებიც,

რადგანაც დასავლური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გარკვეული პროცესების ინსპირაცია არა იმდენად გალერეების მოვალეობაა, რამდენადაც სახელოვნებო ცენტრების. პრობლემა მხოლოდ იმაშია, რომ თბილისში აღარ არსებობს არც ერთი ისეთი გალერეა, რომელსაც ექნებოდა ინტელექტუალური და მატერიალური რესურსი იმისა, რომ ოდესმე ცენტრად ქცეულიყო და მისი ფუნქციები შეეძინა. თავი დავანებოთ ცენტრებს და გალერეების საკითხს დავუბრუნდეთ.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ბევრი "წვრილი" საგამოფენო სივრცე შეინიშნება, სამწუხაროდ ამ სივრცეებში იშვიათად თუ მუშაობენ ადეკვატური განათლების პროფესიონალები. აშკარაა, რომ გალერეის ტოპას აქვს უჩვეულო ხიბლი იმ საზოგადოებაშიც კი, რომელსაც განყვეტილი აქვს კავშირი ხელოვნებასთან, ყოველ შემთხვევაში, რთულად ახდენს იდენტიფიკაციას თანამედროვე სახელოვნებო ტენდენციებთან და იმპულსებთან. თუ ახდენს კიდევ, დიდწილად ეს კავშირი თვითმიზმურია. ბევრი გალერეა და ხშირად გახსნილი პერსონალური გამოფენები როდია ნიშანი იმისა, რომ საზოგადოება, ანდა ქალაქი არტისტულია, მის ყოფით კულტურას რომ არც შევეხოთ. ამას გარდა, რიგ შემთხვევებში ახალი გალერეები რომელიმე დაწესებულების საკუთრებას წარმოადგენს და სწორედ ეს დაწესებულება მართავს გარკვეულ ღონისძიებებს საგამოფენო სივრცეში. ეს ღონისძიებები თუ დაწესებულების მიდა მოტხოვნებს არ აკმაყოფილებს მხოლოდ, მათ აქტივობას ან საქველმოქმედო ფუნქციები აქვს, ანდა პიარ-მიზნები. ორივე შემთხვევაში გალერეაც და აუდიტორიაც წაგებულია, იმიტომ რომ ვინ, რას და რატომ აკეთებს და ვის სჭირდება ის, რასაც აკეთებენ, ხშირად გაუგებარი რჩება.

სწორედ ასეთ ფონზეა საინტერესო ახალი გალერეის გახსნა. მით უფრო რომ "გალას" ხელმძღვანელობენ პროფესიონალები და მათი სურვილი, წარმოაჩინონ თანამედროვე მხატვრობა, შესაძლოა, რომ მართლაც საინტერესო პროცესად იქცეს. მიმდინარე გამოფენა 6 დღე გაგრძელდება, ნამუშევრები იყიდება. თუმცა, იმედი უნდა ვიქონიოთ რომ არტის კომერციალიზაცია არ იქნება ერთადერთი ტენდენცია, რომელსაც ამ გალერეაში სამომავლოდ შევნიშნავთ. გამართლდება თუ არა ჩვენი იმედები, დრო გვიჩვენებს. 2010 წლიდან გალერეა "გალა" მიზნად ისახავს არამარტო აღიარებული კლასიკოსი მხატვრების პერსონალური გამოფენების მოწყობას, არამედ თანამედროვე მხატვრების პოპულრისაციასაც. გალერეაში მოეწყობა, როგორც პერსონალური, ასევე ჯგუფური გამოფენები.

## რემბრანდტის საიდუმლო მყიდველი

Christie's აუქციონზე 33,3 მილიონ დოლარად გაყიდული რემბრანდტის "მამაკაცის პორტრეტი" მყიდველი ლას ვეგასის ერთ-ერთი კაზინოს მესპატრონე, 67 წლის სტივ უინი (Steve Wynn) აღმოჩნდა. ამის შესახებ ინფორმაციას The Times-ი ავრცელებს.

1,5 მილიარდ დოლარად შეფასებული ქონების პატრონი გარიგების შესახებ არ საუბრობს და კომენტარის გაკეთებასაც არიდებს თავს. თუმცა, ექსპერტებმა მყიდველად სწორედ სტივ უინი დაასახელეს. მათ ჟურნალისტებს აცნობეს, რომ აუქციონის ჩატარების დღეს უინმა რამდენიმე არტ-დილერს დაურეკა იმი-სათვის, რომ რემბრანდტის მიერ 1658 წელს შესრულებულ "მამაკაცის პორტრეტზე" მათი აზრი მოესმინა.

ჟურნალისტების შეკითხვებზე პასუხისას უინმა განაცხადა, რომ მას არც ერთი ნახატის ცნობა აღარ შეუძლია. ამასთან დაკავშირებით The Times-ი აღნიშნავს, რომ უინი თვა-

ლის ბადურის პიგმენტური დეგენერაციით იტანჯება. ამის მიუხედავად, უინის კოლექციაში დაცულია უდიდესი მხატვრების (სეზანის, გოგენის, ვან გოგის, მანეს, მატისის, ტერნერის, ვერმე-ერის...) ნამუშევრები. მათ შორის უმრავლესობა უინის კაზინოშია ექსპონირებული.

უინის სახელთან დაკავშირებულია ისტორია, რომელსაც რეზონანსი მოჰყვა და პიკასოს ნამუშევარს, სახელწოდებით "სიზმარი" (La Reve) შეეხება. 2006 წელს მილიარდელმა ტილო შემთხვევით იდაყვით გახია, როდესაც მას მეგობრებს აჩვენებდა. ეს ნახატი მან



სტივ უინი - რემბრანდტის მფლობელი

1997 წელს 48,7 მილიონ დოლარად შეიძინა, მის გაყიდვას კი 139 მილიონ დოლარად აპირებდა. "სიზმარის" დაზიანების გამო გარიგება არ შედგა და უინმა მის რესტავრაციაში 90 ათას დოლარზე მეტი გადაიხადა. მოგვიანებით მილიარდელმა განაცხადა, რომ პიკასოს ნახატის გაყიდვაზე თანხმობით ის გამოუხსნორებელ შეცდომას ჩაიდენდა, რისგანაც მისმა დაზიანებამ იხსნა და არახელსაყრელი გარიგებაც ჩაიშალა.

პიკასოს ნამუშევრებიდან "სიზმარი" (1932 წ.) განსაკუთრებულია. მასზე მხატვრის საყვარელი, მარია-ტერეზა უოლტერია გამოსახული. ამ "ინციდენტშიც" დამნაშავეა მაგნატის მხედველობა, რომელიც დღითიდღე უარესდება.

# 27 აპრილი ჭონ მაკლაფლინის დღეა

ლეგენდარული მუსიკოსი თბილისს ჯგუფ 4th Dimension-თან ერთად ეწევა

ნა ვაქაა

მართალია, 27 აპრილამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, საახალწლო ეიფორია, პირველი თოვლი, გიჟმაჟი მარტი და შერყევი აპრილის პირველი დღეები გადასატანი გვაქვს, მაინც გეტყვით, რომ ამ დღეს თბილისში ჯაზისა და ფუჟენის გენიოსი, ბრწყინვალე გიტარისტი ჯონ მაკლაფლინი ჩამოვა და არა მხოლოდ ჩამოვა, არამედ კონცერტსაც გამართავს. მაკლაფლინთან ერთად ჩვენს ქალაქს ჯგუფი 4th Dimension-იც ესტუმრება, რომელთანაც მუსიკოსი უკანასკნელ პერიოდში აქტიურად თანამშრომლობს.

2010 წლის 27 აპრილს თითქმის ექვსი წელი იქნება გასული მას შემდეგ, რაც ჯონ მაკლაფლინი თბილისს პირველად და ამ დროისთვის უკანასკნელად ესტუმრა - 2004 წლის თბილისის ჯაზ ფესტივალზე. თუ ფესტივალის ისტორიას გადავხედავთ, მისი სტუმრები მსოფლიო ჯაზის იმდენად მნიშვნელოვანი ვარსკვლავები იყვნენ, რომ ძნელია რომელიმე წელი ამოარჩიო, თუმცა 2004 წელი მაინც განსაკუთრებული იყო: ფესტივალი 26 ივნისს სწორედ მაკლაფლინისა და მისი "შექტის" კონცერტით გაიხსნა, შემდეგ მსმენელის წინაშე ბოზი მაკფერინი და კრის ბოტი წარდგნენ, ფესტივალის ბოლო ორი დღე კი მაკლ ფრენკსა და მის ბენდს დაეთმო.

როგორც უკვე გითხარით, ამჯერად ჯონ მაკლაფლინი თბილისში ჯაზ-ფუჟენ ჯგუფ 4th Dimension-თან ერთად ჩამოდის, რომელთან ერთადაც მესამე წელია თანამშრომლობს. ჯგუფში მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ბას გიტარისტად აღიარებული წარმოშობით კამერუნელი ეტიენ მბაპე (აქვს Zawinul Syndicate-სთან თანამშრომლობის გამოცდილება), პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი და გასაოცარი ტექნიკის მქონე დრამერი მარკ მონდეზირი და ასევე დრამერი და პერკუსიონისტი გარი ჰაზბანდი შედიან.

ჯონ მაკლაფლინი და 4th Dimension ერთმანეთს 2007 წლის ზაფხულში შეხვდნენ და ერთობლივი ალბომიც გამოუშ-



ვეს, ამჟამად კი ევროპული ტურნესთვის ემზადებიან. ტურნე მომდევნო წლის 22 აპრილს ნიცაში დაიწყება, შემდეგ ბრემენში გადაინაცვლებს, 27 აპრილს კი მუსიკოსებს თბილისი ელით. შემდეგი ქალაქი ერევანია, მერე ისევ გერმანია, შვეიცარია, ლუქსემბურგი, იტალია, საფრანგეთი და რუმინეთი. ტურნეს ბოლო წერტილი ჯერჯერობით ავსტრიაა, სადაც მაკლაფლინი და კომპანია 22 მაისს ჩავა.

თბილისში სტუმრებს ამჯერად თბილისის საკონცერტო დარბაზის (ანუ ფილარმონიის) ივენთ ჰოლი - მის ცენტრალურ ფოიეში განთავსებული მცირე დარბაზი უმასპინძლებს. რემონტის შემდეგ ისევე, როგორც მთავარ დარბაზში, აქაც უახლესი და უმაღლესი ხარისხის ხმის აპარატურა და განათების სისტემაა დამონტაჟებული. ივენთ ჰოლმა პირველი და მეტად საპა-

ტიო გამოცდა უკვე გაიარა - წლევანდელი ჯაზ ფესტივალისას, რომლის რამდენიმე კონცერტი, მათ შორის სკოტ კინსლის ჯგუფის, დინი ვირსალაძის ბენდისა და რობერტო პუჯინის, "ქართული ჯაზ ტრიოსა" და რაინ სულტანოვის კონცერტები სწორედ აქ ჩატარდა. ვინც ამ კონცერტებს ესწრებოდა, საყვედურს ნამდვილად ვერ იტყვის, რადგან მთელი სივრცის ნებისმიერი ადგილას ხმა ერთნაირი სიზუსტითა და სისუფთავით ისმის, რაც მუსიკის მოსმენას ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ივენთ ჰოლი დიდ დარბაზთან შედარებით უფრო ინტიმურ და მყუდრო გარემოს ქმნის - სწორედ ისეთს, როგორიც ჯონ მაკლაფლინის მუსიკას ზუსტად გაერითმება.

ახლა კი რაც შეეხება ჯონ მაკლაფლინს - უბრალოდ ინფორმაცია მათთვის, ვისაც აინ-

ტერესებს: მას შემდეგ, რაც 11 წლის ასაკში დამოუკიდებლად ისწავლა გიტარაზე დაკვრა და მტკიცედ გადაწყვიტა თავი მუსიკისთვის მიეძღვნა, მომავალი ვარსკვლავი ჯერ ლონდონში, შემდეგ კი ამერიკაში გაემგზავრა. ამ დროისთვის უკვე ჰქონდა სხვადასხვა ცნობილ მუსიკოსებთან თანამშრომლობის გამოცდილება, თუმცა ზუსტად იცოდა, რომ მეტი სურდა - უბრალოდ გრძნობდა, რომ მეტი შეეძლო. ამერიკაში ცნობილი ინდიელი ფილოსოფოსის, პოეტისა და მუსიკოსის, შრი ჩინმოის მოსწავლე გახდა, რომელმაც პირველმა აზიარა ინდურ კულტურას და ფილოსოფიას, რაც მომავალში მაკლაფლინის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს რგოლად იქცა. სწორედ ამ სწავლების გავლენით 1971 წელს დიდებული, გენიალური მუსიკოსებით დაკომპლექტებული, სრულიად არამიწიერი მუსიკალურობით ცნობილი "მაჰავიშნუ ორკესტრა" დააარსა, რომელიც დღემდე ჯაზის, ფუჟენის, პროგრესული როკის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლადაა მიჩნეული (მისი ორი ალბომი The Inner Mounting Flame და Birds of Fire დღემდე ჯაზ-ფუჟენის კლასიკური ჩანაწერებია). სამწუხაროდ, ჯგუფმა ცოტა ხანს იარსება, ჯონ მაკლაფლინი კი ახალ პროექტებზე გადაერთო.

1975 წელს მაკლაფლინმა ახალი ჯგუფი Shakti შექმნა. ეს სწორედ მის პროექტია, რომლითაც იგი 2004 წელს თბილისში ჩამოვიდა (ორიგინალი შემადგენლობიდან მაშინ ჯგუფში მხოლოდ მაკლაფლინი და ზაჰირ ჰუსეინი). პარალელურად მაკლაფლინი თანამშრომლობდა მაილს დევისთან, პაკო დე ლუსიასთან, ალ დიმეოლასთან, ბილ ევანსთან, კარლოს სანტანასთან, ჯონ კოლტრეინთან და სხვა ცნობილ მუსიკოსებთან. 2008 წლიდან კი ჩიკ კორეასთან ერთად პროექტ 5 Peace Band-ს ახორციელებს (მასში ასევე შედიან კრისტიან მაკბრაიდი, კენი გარეტი და ბრიან ბლეიდი). ამჟამად მაკლაფლინს აღნიშნულ პროექტთან ერთგვარი შევბუღება აქვს, რათა 4th Dimension-თან ერთად მეტი იმოგზაუროს და გაზაფხულის ერთ დღეს ჩვენც გვესტუმროს.

## ზუგდიდის არქივის მომსახურების არეალი გაფართოვდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონულ სისტემაში ზუგდიდის ადგილობრივი არქივი ჩაერთო და, შესაბამისად, მისი მომსახურების არეალი გაფართოვდა.

ზუგდიდის იუსტიციის სახლში ამ სიახლის პრეზენტაცია ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა თეონა იაშვილმა გამართა. "დღეს ზუგდიდის იუსტიციის სახლში გავხსენით ამ რაიონის არქივის მომსახურების ოფისი, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ მათთვის საჭირო ცნობები მიიღონ არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ ელექტრონულ სისტემაში ჩართული ნებისმიერი არქივიდან", - აღნიშნა თეონა იაშვილმა.

მომსახურების ელექტრონული პროგრამით ამ დროისათვის სარგებლობს თბილისში მდებარე სამი ცენტრალური არქივი, თბილისის არქივი, ასევე, ქუთაისის, სამტრედიის, თელავის, ზაშურისა და მცხეთის ადგილობრივი არქივები. ამ სისტემაში, ეტაპობრივად, ეროვნული არქივის ყველა ადგილობრივი ოფისი ჩაერთვება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დახმარებით შემუშავებული ეროვნული არქივის მომსახურების ელექტრონული პროგრამის დაწერვით მოქალაქეთა მომსახურება კიდევ უფრო სწრაფი და კომფორტული გახდა. სპეციალური პროგრამა ერთი მხრივ, მოქალაქეს უმარტივებს მომსახურების მიღებას, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად აჩქარებს დოკუმენტის მოძიების შიდა პროცედურებს.

ეროვნულ არქივში სხვადასხვა სახის მომსახურების მისაღებად მისულ მოქალაქეს განცხადების ხელით შევსება და პირადობის მოწმობის ასლის წარდგენა აღარ უწევს. მათ მოთხოვნას მოქალაქეთა მისაღების თანამშრომლები ელექტრონულ პროგრამაში თავად არეგისტრირებენ. ამასთან, მომსახურების პროგრამას წვდომა აქვს სამოქალაქო რეესტრის ბაზასთან, საიდანაც პიროვნების სარეგისტრაციო მონაცემების თაობაზე ინფორმაციას ონლაინ რეჟიმში იღებს. **"24 საათი".**

## ფოთის თეატრი ბათუმში

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გუშინ საღამოს გასტროლები გამართა ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა. ფოთის თეატრმა ბათუმში წარადგინა ცნობილი ავსტრიელი დრამატურგის პიტერ ტურინის პიესას "ვირთხებზე ნადირობა".

სპექტაკლის რეჟისორია რალფ ზიბელტი (გერმანია), სცენოგრაფია ეკუთვნის მაქს ჯულიან ოტტოს (გერმანია). პიესის ქართული ადაპტაციის ავტორია ცნობილი თეატრმცოდნე და კულტურის ექსპერტი ლევან ხეთაგური.

სპექტაკლში ორი მსახიობი **ჯანო იზორია და მარიკა ბუკია** მონაწილეობს.

პროექტი განხორციელდა გოეთეს ინსტიტუტისა და საქართველოს რეგიონალური თეატრების ქსელის (GRTN) მხარდაჭერითა და თანამშრომლობით.

ფოთის თეატრის ისტორიაში ეს არის პირველი საერთაშორისო პროექტი, ხოლო ქართულ თეატრში კი თითქმის უპრეცედენტო იშვიათი ფაქტი, როცა რეგიონის თეატრში სპექტაკლს დგამს უცხოელი რეჟისორი.

ტურინი ქართულად პირველად ფოთის თეატრის სცენაზე აჟღერდა და ზედმინეგნით ქართულად, თანაც ისე, რომ არ დაკარგულიყო ავტორისეული სასაუბრო სტილისტიკა და დიალოგის ტურინისეული მანერა.

ახლა ამ სპექტაკლის ნახვის საშუალება თბილისელ მაყურებელსაც ექნება.

**რეჟისორი** რალფ ზიბელტი, დაიბადა 1945 წელს ქალაქ ესენში (გერმანია), არის ტიუბინგემის რეგიონალური თეატრის მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, მუშაობდა ბოხუმისა და ჰამბურგის ტალია თეატრებში, ასევე ქალაქებში ალენი, ცელე.

**სცენოგრაფი** მაქს ჯულიან ოტტო დაიბადა 1972 წელს მიუნხენში, მუშაობს მხატვრად და ილუსტრატორად საერთაშორისო კინოპროდუქციისათვის, მუშაობს ანიმაციაში. მისი ნამუშევრები გამოფენილია ბერლინის, პოზდამის და მიუნხენის გალერეებში. 2004 წლიდან მუშაობს თეატრში. **"24 საათი".**

## გამოფენა "ძველი და თანამედროვე თბილისი" ეროვნულ არქივში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში გამოფენა "ძველი და თანამედროვე თბილისი" მიმდინარეობს.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია, ეროვნულ არქივში დაცული, 1890-1910 წლებში დიმიტრი ერმაკოვისა და 2009 წელს გიორგი მეურმიშვილის მიერ გადაღებული ფოტოები. ასევე, 1949 წლით დათარიღებული კინოსიუჟეტი თბილისის შესახებ. მასალა შერჩეულია ეროვნული არქივის ფოტო და კინო არქივებიდან.

"მინდა დიდი მადლობა გადავუხადო გიორგი მეურმიშვილს, რომელმაც თავდაუზოგავად იმუშავა ამ პროექტის განხორციელებაზე მთელი წლის განმავლობაში. იმედია, რომ გიორგი მეურმიშვილის ფოტოები ისევე დარჩება ისტორიას, როგორც დიმიტრი ერმაკოვის ფოტოები, რომლებსაც დღეს ვუყურებთ როგორც ჩვენს წარსულს", - აღნიშნა ლონიძეების გახსნისას ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა.

დამთვალეირებელს გამოფენაზე საშუალება მიეცა თვალნათლივ დაენახა, როგორ შეიცვალა გამოჩენილი ფოტოგრაფის თვალით დანახული თბილისი ერთი საუკუნის შემდეგ. 2009 წელს გადაღებული თანამედროვე თბილისი იმეორებს 1909 წელს ფირზე აღბეჭდილ დედაქალაქს.

ექსპოზიციის ფარგლებში გაიმართა, ეროვნული არქივის მიერ მომზადებული, 2010 წლის კალენდრის "ძველი და თანამედროვე თბილისი" პრეზენტაცია. კალენდარში შესულია გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტომასალა.

გამოფენა კიდევ 6 დღე გაგრძელდება, დათვალეირება თავისუფალია. მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზირი, 1. **"24 საათი".**

## სტალინი ხუმრობს...



ტურა, რომ ნახატებზე გაკეთებული მინაწერები ნამდვილად სტალინს ეკუთვნის.

გამოფენაზე ექსპონირებულ ილუსტრაციებზე ნათლად იკითხება ხელით მიწერილი ფრაზები, რომლებსაც არაო-

რაზროვანი ეროტიკული ელფერი აქვთ. "ასეთი უსაქმურები ჩვენთანაც საკმარისად არიან. ფილო-სოს", - აი, ასეთია ერთ-ერთი... ამის მსგავსს კონკრეტული ადამიანების მისამართით გამოთქმული ფრაზები ცვლიან,

მაგალითად: "რა არის გამხდარი, მიხეილ ივანეს ძე? საქმეს მიხედ. ანანიშში - საქმე არ არის. მარქსიზმით დაკავდი! ჰე, ჰე!", ან კიდევ ამას: "გარეწარი ჟღალი რადეკი. ქარის სანინა-ალმდეგოდ რომ არ წასულიყო, არ იქნებოდა ბოროტი და იქნებოდა ცოცხალი". ამ უკანასკნელში იგულისხმება კარლო რადეკი, რომელიც 1936 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი იყო. მას ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს და ციხეში მოკლეს.

"ერთი ჩაფიქრებული სულელი 10 მტერზე უარესია", - მიწერილი აქვს ერთ-ერთ ილუსტრაციას. ამ გამოფენით BBC-იც დაინტერესდა და ინფორმაციის პარალელურად, ილუსტრაციებიც გაავრცელა. ამის მიუხედავად, დამთვალეირებელთაგან ბევრს ჯერ კიდევ აწუხებს შეკითხვა: ეს ფრაზები სტალინის ხელით არის მიწერილი და მას ეკუთვნის? დიახ! - ირწმუნებიან მოსკოვში, სადაც, თუ საჭიროა, ყველაფრის სჯერათ...

## განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 10 სექტემბრის №158 დადგენილების შესაბამისად, 2010 წლის 21 იანვარს დღის 12:00 საათზე, ქ. თბილისში გორგასლის ქუჩა №16-ში (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შენობა) ატარებს აუქციონს , რომელზეც გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

| № | მესაკუთრის დასახელება                                                    | ქონების დასახელება და აღწერა                                                         | ზომის ერთეული | ერთეული ს საწყისი ფასი (ლარი) | საერთო საწყისი ფასი (ლარი) | ბიჯის ოდენობა (ლა-რი) |
|---|--------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------|---------------|-------------------------------|----------------------------|-----------------------|
| 1 | ი/მ „შოთა აბულაძე“ (ს/ნ 145539398) მის: ბათუმი, შავთავას ქ. N4           | ქ. ბათუმში, შავთავას ქ. N4–ში 145.12 კვ.მ ფართიდან შოთა აბულაძის კუთვნილი წილი ფართი | 72,56 კვ.მ    |                               | 11100                      | 500                   |
| 2 | შპს „ლომი“ (ს/ნ 245432535) მის: ბათუმი, მელიქიშვილის 104                 | დიზელ გენერატორი                                                                     | 1 ცალი        | 140                           | 140                        | 10                    |
|   |                                                                          | სურათი (ნატურმორტი)                                                                  | 1 ცალი        | 2352                          | 2352                       | 100                   |
|   |                                                                          | ქსეროქსის აპარატი „ქენონი“                                                           | 1 ცალი        | 105                           | 105                        | 5                     |
